ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

26 მარტიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ერნესტ ჰემინგუეი იქ, მიჩიგანში



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

მოიკითხეთ პრესის გავრცელების სტელაჟებზე

შაბათი – კვირა, 26 – 27 მარტი, 2016 | №72 (6998) | ფასი: 50 თეთრი

ივანიშვილის მოთხოვნით ჩერნოვეცკიმ საქართველო დატოვა?

„გავრცელდა ხმა, რომ ის ივანიშვილს შეხვდა. ამ ინფორმაციის გადამოწმება არც კი მიცდია. ასეთი რამეები არ მაინტერესებს“

გვ.2

„ის ახსად წასულა, ევროპაშია და უმძიმესი ოპერაციისთვის ემზადება. ძალიან მაღე დაბრუნდება საქართველოში. სადღაც აპრილის შუა რიცხვებიდან უკვე დავიწყებთ პარტიულ მუშაობას. ახლა ვერ ვიტყვი, რომ გაჩერებულები ვართ, მაგრამ ჩვენს საქმიანობას პასიურს ვუწოდებ. მეტ კომენტარს ამ თემაზე არ გავაკეთებ, რადგანაც უხერხულია, ამ თემაზე პარტიის ლიდერის ჩამოსვლამდე გავაკეთო განცხადება"

უმრავლესობა თამაზ მეჭიაურის წინააღმდეგ

გვ.2

ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის გაუფასურება მოსალოდნელი არ არის“

გვ.6

„ქადაგიძის ადგილი პარლამენტში კი არა, ციხეშია“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „თავს პროტესულ ძალად არ ვთვლი. ეს ჩემი შეურაცხყოფაა“

გვ.3

„მოსახლეობის 62% არჩევნებზე მისვლას არ აპირებს“

ISSN 1987-9385



გვ.4

მამუკა ღლონტი: „სასამართლომ ბიძინა ივანიშვილი, გია ხუხაშვილი და ვანო ჩხარტიშვილი უნდა დაკითხოს“

უმრავლესობა თამაზ მეჭიაურის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

სახელისუფლებო გუნდში დაძაბულობა მატულობს. ამჯერად მინისტრები და დეპუტატების ნანილი თამაზ მეჭიაურს აუმხედრდნენ. ამხედრებულებს ახასამთავრობოებიც შეუერთდნენ.

24 მარტს თამაზ მეჭიაურმა განაცხადა რომ ის თანამდებობის პირები უნდა წავიდნენ, რომლებზეც ფარული ჩანაწერები არსებობს.

ამ განცხადებამ ბევრი გააცხარა, ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილის განმარტებით, არავის საქმე არ არის, ვის როგორ სძინავს და ვისთან სძინავს.

ქუმსიშვილი ამბობს, რომ დეპუტატის განცხადება მას არ მოუსმენია. ამის მიუხედავად, აღშფოთებას ვერ მალავს.

– შემიძლია უბრალოდ ჩემი დამოკიდებულება დაგიფიქსიროთ. ნებისმიერი ჩანაწერი პირადი ცხოვრების არის ამაზრზენი, მით უმეტეს, ამის ილუსტრირება არის ამაზრზენი. არავის საქმე არ არის, ვის როგორ სძინავს და ვისთან სძინავს, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

მას მხარი ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომაც აუბა. ის მეჭიაურის განცხადებას ხმამაღალს უწოდებს.

– ალბათ, უკეთესი იქნება, რომ ყველა ჩვენი საქმით დავკავდეთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დავით სერგეენკომ.

ყველაზე მეტად ეს განცხადება, როგორც მოსალოდნელი იყო, რესპუბლიკელებმა გააპროტესტეს. ლევან ბერძენიშვილმა კოლეგა ლამის ტერორიზმის მხარდამჭერად გამოაცხადა.

– მე საერთოდ ვერ გავიგე, რა ბრძანა ბატონმა მეჭიაურმა, მგონი, აქ კომუნიკაციის პრობლემაა მისი მხრიდან. არ მგონია, რომ ის უნდა ეთქვა, რაც თქვა, თუ ასე ფიქრობს, და თუ მეჭიაური არის გულშემატკივარი ტერორიზმისა და შესაძლოა თვითონ აქვს რაიმე კადრები, ვერ გეტყვით, მაგრამ მე მაინც კომუნიკაციის პრობლემა მგონია, რაღაც ისე ვერ თქვა ბატონმა თამაზმა. არ მინდა, რომ რომელიმე ასეთმა საქციელმა ვინმეს გადადგომა გამოიწვიოს, ვინაიდან ეს ქმედითი ღონისძიება ყოფილა და მაშინ უნდა წავახალისოთ ასეთი რამ.

მე ვფიქრობ, რომ ბატონი თამაზის სიტყვები ან სწორად არ იყო გამოთქმული, ან სწორად არ იყო გაგებული, მაგრამ ამას თვითონ განმარტავს, ადვოკატად ნამდვილად ვერ დავუდგები, მაგრამ პროკურორობის სურვილიც არ მაქვს, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

მეჭიაურის განცხადება გულზე მწარედ მოხვდა გედევან ფოფხაძეს. მისი თქმით, მას ძალიან ბევრი ცოდვა აქვს ჩადენილი.

– არ ვეთანხმები, რომ იმის გარკვევა დავიწყოთ, ვისზე არსებობს ვიდეომასალა და ვინ უნდა დატოვოს თანამდებობა. ტერორისტი მიზნად სწორედ მაგას ისახავს, ასეთი რაღაც ტერორისტს არ უნდა ჩაუვარდეს ხელში და მან არ უნდა დაიწყოს საზოგადოების დაშანტაჟება. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი ვარ, ძალიან ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი და თუ ამ ცოდვების მიხედვით გადაწყდება ჩემი საჯარო სივრცეში ყოფნა, ალბათ, მე არ უნდა ვიყო საჯარო სივრცეში, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

„გირჩების“ ერთ-ერთ ლიდერს ზურაბ ჯაფარიძეს მეჭიაურის განცხადებამ გარკვეული ეჭვები აღუძრა.

– მეჭიაურის განცხადება ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით ემთხვევა იმ განცხადებებს, რომლებიც მოჰყვა პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს. განცხადება, ცალსახად ემთხვევა იმ პათოსს, რომელიც ამ ვიდეოების გამოქვეყნებას მოჰყვა. რაც საეჭვოა, ამიტომ სჯობს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები მსგავს განცხადებებს არ აკეთებდნენ.

პირიქით, შეფასებები უნდა იყოს მკაცრი იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება და ითხოვდნენ ასეთი რაღაცების გამოძიებას და დასჯას და არ აყვნენ ამ ზოგად პათოსს, რომელიც ამ ვიდეოებს თან ახლავს, – განაცხადა ჯაფარიძემ.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი ამბობს, რომ მეჭიაურს მომხრეებიც ჰყავს.

– არა მხოლოდ თამაზ მეჭიაური, ბევრი სხვა ადამიანიც ასე ფიქრობს, არის მოსაზრება, რომ გაუძლოს ზეწოლას თუ შანტაჟს კონკრეტულმა ადამიანმა, მე როგორ ვფიქრობ ერთია, მაგრამ სახელმწიფოს როგორ სჭირდება, არის მეორე, – აღნიშნავს გია ვოლსკი.

რაც შეეხება თამაზ მეჭიაურს, ის კვლავაც თავის პოზიციაზეა. „ახალ თაობასთან“ საუბარში მან განმარტა, თუ რა ჰქონდა მხედველობაში, როდესაც სკანდალურ განცხადებას აკეთებდა.

– თუ ადამიანს უკავია სახელმწიფო მნიშვნელობის თანამდებობა და მას აქვს წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე, შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება უარყოფითად ან დადებითად აისახოს ქვეყნის უშიშროებაზე, და ამასთან, ამ ადამიანზე ვინმეს გააჩნდეს მაკოპრომეტირებელი მასალა, შესაძლებელია მისი დაშანტაჟება ან გავლენის ქვეშ მოქცევა, ის იძულებული იქნება, სახელმწიფოსთვის საშიში გადაწყვეტილება მიიღოს, – აღნიშნა თამაზ მეჭიაურმა.

როგორც საპარლამენტო კულუარებში ამბობენ. ეს განცხადება სხვას რომ გაეკეთებინა, რეაქცია ასეთი მკვეთრი არ იქნებოდა, რადგან მეჭიაური ივანიშვილის აზრების გამხმოვანებლად მოიაზრება.

ყველაზე უცნაური ისაა, რომ ამ ამბავში მეჭიაურის პოზიცია სრულად დაემთხვა ექსპერტ გია ხუხაშვილის მოსაზრებებს. მან უფრო ადრე განაცხადა, რომ ის პირები, რომლებზეც ასეთი ფირები არსებობს, პოლიტიკიდან უნდა გაიპარონ.

ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც მეჭიაურის და ხუხაშვილის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. ცოტა ხნის წინ დეპუტატმა თქვა, რომ კოალიციაში შემავალმა პარტიებმა არჩევნებში დამოუკიდებლად უნდა იყარონ კენჭი. ხუხაშვილი ამ მოსაზრებას სრულიად იზიარებს.

***

მეჭიაურის გარდა შარში საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი გაეხვია. გაუგებრობაში ის „პირველის“ ეთერში მოხვდა.

„პირველის“ საინფორმაციო გადაცემაში „დღის ამბები ინგა გრიგოლიასთან ერთად“ დავით ლორთქიფანიძემ წამყვანისადმი მიმართვა ასე დაიწყო: „მოგესალმებით, შეყვარებულო ქალბატონო ინგა!“

დეპუტატის საპასუხოდ ჟურნალისტმა განაცხადა, რომ არა ჰგონია, რომ ამ თემაზე ხელისუფლების ან უმრავლესობის წარმომადგენლებს სახუმაროდ უნდა ჰქონდეთ საქმე.

კამპანიამ „ეს შენ გეხება“ დეპუტატები თამაზ მეჭიაური და დავით ლორთქიფანიძე საგანგებო განცხადებით დაგმო.

– კამპანია „ეს შენ გეხება“ აღშფოთებას გამოთქვამს იმ განცხადებების გამო, რომლებიც გაჟღერებულ იქნა აღნიშნული პირების მიერ. ეს განცხადებები არის ფაქტობრივად იმ დანაშაულის ლეგიტიმაცია, რომელსაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი. დეპუტატები ფაქტობრივად არიან იმ ქმედებების თანამონაწილენი, რომელთა მიზანს კონკრეტული პირების და საზოგადოების შანტაჟი წარმოადგენდა. ჩნდება ეჭვი, რომ აღნიშნულ პირებს არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი ხედვა, ასეთი ტიპის დანაშაულებთან მიმართებაში. მათი განცხადებები ჩრდილს აყენებს მთავრობის მეთაურის, საქართველოს პროკურატურის და სხვა მაღალჩინოსანთა განცხადებებს, აღნიშნული ფაქტების ეფექტური გამოძიების საჭიროებასთან დაკავშირებით. ასევე ვფიქრობთ, რომ დეპუტატების მიერ გაკეთებული განცხადებები ცალსახად წარმოადგენს უკვე ჩადენილი თუ სავარაუდოდ დაანონსებული დანაშაულების გამართლებასა და წახალისებას.

კიდევ ერთხელ ცალსახად ვაცხადებთ, რომ ეს ქმედება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ფარული ჩანაწერების საჯაროდ გავრცელების შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ დამოკიდებულებას და პოლიტიკურ ნებას – მოხდეს ამ კონკრეტული დანაშაულების დროული და ეფექტური გამოძიება.

აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ამ განცხადებებთან დაკავშირებით. დეპუტატებმა საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადონ საზოგადოების წინაშე. პოლიტიკურმა პარტიებმა კი იზრუნონ, რომ მსგავსი დამოკიდებულებების მქონე პირები არ ახდენდნენ საზოგადოებამდე მცდარი გზავნილების მიტანას, – ნათქვამია განცხადებაში.

ივანიშვილის მოთხოვნით ჩერნოვეცკიმ საქართველო დატოვა?

შორენა მარსაგიშვილი

კიევის ყოფილმა მერმა ლეონიდ ჩერნოვეცკიმ რამდენიმე თვის წინ გვამცნო, პოლიტიკაში მოვდივარო. პარტიის შესაქმნელად აქტიური სამუშაოებიც დაიწყო. როგორც ამბობენ, მასთან ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი მივიდა. მათ შორის იყვნენ საპარლამენტო უმრავლესების წევრებიც.

რაღაც დროის მანძილზე პარტია „ბედნიერი საქართველოსთვის“ აქტიურობა შეჩერდა. ამას ბევრი ჭორი მოჰყვა. ზოგი იმას ამბობდა, რომ კიევის ყოფილმა მერმა პოლიტიკაში მოსვლა გადაიფიქრა.

ცოტა ხნის წინ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩერნოვეცკი ივანიშვილს შეხვდა. შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა მოითხოვა ჩერნოვეცკისგან, რომ მასთან შეუთანხმებლად არავინ შეეყვანა პოლიტიკური მოძრაობის სიაში, ასევე არ გადაედგა არც ერთი დამოუკიდებელი ნაბიჯი და რომ ამის შემდეგ ჩერნოვეცკიმ დატოვა საქართველო და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადავიდა.

ჩერნოვეცკი საქართველოდან მართლაც წავიდა. „ქობულეთი ნიუსმა“ ჩერნოვეცკის პარტიას კომენტარისთვის მიმართა. პარტიამ კი ჩერნოვეცკის პასუხი გაავრცელა.

კიევის ყოფილი მერი ამტკიცებს, რომ მისი პერსონა შანტაჟს არ ექვემდებარება.

– მე უკვე დიდი ხანია, არავის შევხვედრივარ. ჩემი შანტაჟი საქართველოში შეუძლებელია: მე არ მაქვს არც ბიზნესი, არც ისეთ საკითხებში ვარ ჩაბმული, რომლის გამოც დამოკიდებული ვიქნები მთავრობაზე ან სპეცსამსახურებზე! და მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი რამ დღეს საქართველოში შეიძლება მოხდეს. მთავარი კი ის არის, რომ ჩემი ბუნებით მე შანტაჟს არ ვექვემდებარები! ამ მხრივ რთული ხასიათი მაქვს, – აღნიშნავს „ბედნიერი საქართველოსთვის“ ლიდერი.

ის ადასტურებს ინფორმაციას, რომ საქართველოდან წავიდა და წასვლის მიზეზებსაც განმარტავს.

– ახლა მე 8 დღით ევროპაში ვიმყოფები ჩემს მეუღლესთან ერთად: ზურგს ვმკურნალობ, რათა პარლამენტში მოსვლის შემდეგ ასეთი საკითხები აღარ მაწუხებდეს და არ მომიხდეს რომელიმე პლენარული სხდომის გამოტოვება. მალე დავბრუნდები და, იმედია, არჩევნებამდე არსად წასვლა არ მომიწევს, – ამბობს ჩერნოვეცკი.

საქართველოდან კიევის ყოფილი მერის წასვლასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე.

– ის არსად წასულა, ევროპაშია და უმძიმესი ოპერაციისთვის ემზადება. ძალიან მალე დაბრუნდება საქართველოში. სადღაც აპრილის შუა რიცხვებიდან უკვე დავიწყებთ პარტიულ მუშაობას. ახლა ვერ ვიტყვი, რომ გაჩერებულები ვართ, მაგრამ ჩვენს საქმიანობას პასიურს ვუწოდებ. მეტ კომენტარს ამ თემაზე არ გავაკეთებ, რადგანაც უხერხულია, ამ თემაზე პარტიის ლიდერის ჩამოსვლამდე გავაკეთო განცხადება, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში დუმბაძემ.

მას არც გავრცელებული ჭორები უკვირს.

– გავრცელდა ხმა, რომ ის ივანიშვილს შეხვდა. ამ ინფორმაციის გადამოწმება არც კი მიცდია. ასეთი რამეები არ მაინტერესებს, – აღნიშნავს ვიცე-სპიკერი.

დუმბაძე აღნიშნავს, რომ ივანიშვილი ჩერნოვეცკის ფიგურას სერიოზულად უყურებს.

– ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკის მიმართ ინტერესს აღარ იჩენდა,

როცა ჩერნოვეცკიმ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა. როგორც კი ეს ინფორმაცია გავრცელდა, „ქართულმა ოცნებამ“ გვაცნობა, რომ ივანიშვილი აქტიურად ჩაერთვებოდა პარტიულ საქმიანობაში. დაიწყო კიდეც რაღაც განცხადებების გაკეთება. ზურგის ოპერაციის გამო, კიევის ყოფილი მერი ცოტა ხნით გაჩერდა. ივანიშვილისგანაც აღარაფერი ისმის. როგორც კი ჩერნოვეცკი დაბრუნდება, ექსპრემიერიც გააქტიურდება, – ამბობს დეპუტატი.

მან არ ისურვა იმ პირების დასახელება, ვისთანაც თანამშრომლობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მხოლოდ იმას ამბობს, რომ ისინი საინტერესო ხალხია.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩერნოვეცკისთან მოლაპარაკებებს მრეწველებიც აწარმოებდნენ. ეს ინფორმაცია მხარეებმა არ დაადასტურეს.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ კიევის ყოფილი მერი მიხეილ სააკაშვილის მეგობარია და პოლიტიკაშიც მისი მითითებით მიდის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „თავს პრორუსულ ძალად არ ვთვლი. ეს ჩემი შეურაცხყოფაა“

„მოსახლეობის 62% არჩევნებზე მისვლას არ აპირებს“

გულიკო ბალაძე

ხმებს ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ დღეს „ქართული ოცნება“ ცაიტნოტშია და განცხადებები ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნების შესახებ ამ ცაიტნოტიდან გამოსვლას ემსახურება.

– „ქართული ოცნება“ ღარიბაშვილის წასვლის გამოა ცაიტნოტში?

– შეიძლება ასეც ითქვას, რადგან ირაკლი ღარიბაშვილის წასვლამ ბევრი კითხვა გააჩინა „ქართული ოცნების“ მიმართ. კითხვებს კი პასუხი არ გაეცა.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ იმ ინიციატივას, რომელიც ახალი პრემიერის, კვირიკაშვილის მიერ იქნა ინიცირებული, მაგრამ საზოგადოებას არ დავიწყებია, რომ აღნიშნული ინიციატივა წელიწად-ნახევრის წინ თავად ირაკლი ღარიბაშვილმა წამოაყენა. თუმცა, რატომღაც ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას უშუალოდ კოალიციის სრული შემადგენლობის მხრიდან მხარდაჭერა არ ჰქონია. რატომ? ღარიბაშვილი ნაკლებად პოპულარული იყო, ვიდრე კვირიკაშვილია? ქორწინება რომ არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, ეს ინიციატივა ეკუთვნის ირაკლი ღარიბაშვილს.

– დღეს ყველაზე მწვავედ ფარული ჩანაწერების საკითხი დგას. რა ტენდენცია შეინიშნება?

– ყველაზე მწვავედ არ დგას ფარული მიყურადების ჩანაწერების გამოქვეყნების საკითხი. ყველაზე მწვავედ დგას ქვეყანაში ეროვნული კონცეფციის უქონლობა და ეროვნული პოლიტიკის განმსაზღვრელი კოალიციის არარსებობა. მოქალაქეების 62%, ფაქტობრივად, თავს იკავებს საარჩევნო ურნასთან მისვლისა და რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის მხარდაჭერისგან. ეს განაპირობა იმან, რომ ეროვნული პოლიტიკის გამტარებელ ეროვნულ ძალთა გაერთიანებას საზოგადოება ვერ ხედავს. საზოგადოების დაკვეთა კი სწორედ ასეთი ძალის არსებობაა.

– დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში რომ არ ჩანს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საზოგადოებას შესთავაზებს ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ეროვნულ პოლიტიკას?

– დემოკრატიული მოძრაობა ერთ-ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც თავის მთავარ სამოქმედო გეგმას აფუძნებს ეროვნულ ინტერესებზე. ჩვენ სწორედ ამ ნიშნით განვსხვავდებით სხვა პოლიტიკური ძალებისაგან, რომლებიც ხმამაღლა დეკლარირებენ დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულებას, მაგრამ, როცა ეკითხები, რა კონკრეტული ეროვნული პოლიტიკური ღონისძიებებით აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას, პასუხები არ აქვთ.

თუ ბატონი ღარიბაშვილი ჩაერთვება პოლიტიკაში ისეთი გადაწყვეტილებით, რომ მისი უმთავრესი ამოცანა იყოს ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირება, მხოლოდ მოსაწონი და მოსალოცი იქნება ქართველი საზოგადოებისთვის.

– საზოგადოებაში თქვენი ძალა პრორუსულ ძალად მოიაზრება. აქედან გამომდინარე, არა მგონია, გამაერთიანებელ ძალად წარმოჩნდეთ.

– მე ჩემს თავს პრორუსულ ძალად არ ვთვლი, შეურაცხყოფადაც მივიჩნევ ამგვარი კლიშეს მორგებას. არც პროდასავლელი ვარ და არც პრორუსული ძალის წარმომადგენელი. მოწოდებით ქართველი ვარ, ქართულ ნიადაგზე მყოფი პოლიტიკოსი.

– ნინო ბურჯანაძე შეძლებს, ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული გამაერთიანებელი ძალის ლიდერი იყოს? მას შეუძლია, ქართველი საზოგადოება გააერთიანოს და „ქართული ოცნების“ ალტერნატივა გახდეს?

– ვფიქრობ, ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე იყოს ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული კოალიციის ლიდერი. მივესალმები, თუ ქართული პოლიტიკური სპექტრი ამას გამოიყენებს.

* * *

დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ფარული ჩანაწერები გაჩნდა მაშინ, როცა არჩევნები მოახლოვდა. გარკვეულ ძალებს სურთ, პროცესი სასურველ კალაპოტში მოაქციონ. ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებაც ამას ემსახურება.

– ვინ არიან ეს ძალები?

– ეს ის ძალებია. რომლებიც რევანშისთვის არიან განწყობილი არა მხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ მთლიანად ქართველი საზოგადოების წინააღმდეგ. ბიძინა ივანიშვილთან ერთად ქართველმა საზოგადოებამ 2012 წელს განაჩენი გამოუტანა მიხეილ სააკაშვილს. ის ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას მხოლოდ „ქართული ოცნების“ კოალიციის წინააღმდეგ კი არ გამოხატავს, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი ძალის მიმართ.

– ფარული ჩანაწერები მიხეილ სააკაშვილმა გამოაქვეყნა?

– დიახ. ეს არის ნაცმოძრაობის თამაში.

– ნაცმოძრაობა საგამოძიებო კომისიის შექმნასა და დამნაშავეების დასჯას რომ მოითხოვს, ეს რა არის?

– ესეც თამაშის ნაწილია. ნაცმოძრაობა აქეთ ბრალად სდებს „ქართულ ოცნებას“ საქმის გამოუძიებლობას, ამდენი ხნის განმავლობაში რატომ ვერ მოხდა დამნაშავე პირების დადგენაო.

– ნაცები ბიძინა ივანიშვილს რომ აბრალებენ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებას, ამას როგორ აფასებთ?

– ხე ნაყოფით იცნობა. ეს ყველაფერი, პირველ რიგში, ურტყამს „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს, რომლის გავლენა დღემდეა დარჩენილი „ქართული ოცნების“ მიმართ. „ქართული ოცნება“ არასახარბიელო მდგომარეობაში ვარდება. რა იარაღიც გაათამაშეს, საბოლოო არ არის. ამით ზურგში ლახვარს ისევ და ისევ „ქართულ ოცნებას“ ურტყამენ. შეახსენებენ, რომ გამოძიება მათი ვალდებულებაა. გამოუძიებლობა „ოცნებას“ ნდობას უკარგავს საზოგადოებაში.

– გამოძიებაც არ არის ადვილი.

– დიახ. იმის მაგივრად, რომ კამპანია „ეს შენ გეხება“ აქციებს მართავდეს ნაციონალების წინააღმდეგ, მათ ეუბნებოდეს, რომ მიხეილ სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა შექმნა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების 26 ათასი ფაილი, მისი პოზიციის შეწყნარება შეიძლებოდა. ფაქტია, რომ „ეს შენ გეხება“ და ნაცმოძრაობა ერთი კონიუნქტურის ქვეშ არიან. ისინი ერთ მიმართულებას გამოხატავენ და შეეცდებიან, მომავალ არჩევნებში შეძლონ, ლიბერალურმა ძალებმა მოიპოვონ უმრავლესობა.

– რომელ ლიბერალურ ძალებს გულისხმობთ?

– ლიბერალური ძალებია ნაცმოძრაობა, გირჩი, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია და მათთან დაკავშირებული ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ერთ დღეში გადაკეთდებიან პოლიტიკურ პარტიებად.

თამარ კორძაია: „არც ერთი ძლიერი ადამიანი უკანონო შანტაჟს არ უნდა დანებდეს“

– არც ერთი ძლიერი ადამიანი უკანონო შანტაჟს არ უნდა დანებდეს. ეს იქნება მარცხი, – ამის შესახებ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა, დეპუტატმა თამარ კორძაიამ საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის იმ განცხადებაზე კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, უმაღლესი თანამდებობის პირები, რომლებზეც მაკომპრომეტირებელი მასალები არსებობს, უნდა გადადგნენ.

კორძაიას თქმით, პირიქით, გაცილებით ძლიერი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანი შანტაჟის მიმართ და თუ ვიღაცას აქვს მცდელობა, ამ ფორმით მოახდინოს პროცესებზე გავლენა, რა თქმა უნდა, არავინ ამას არ უნდა დანებდეს.

კითხვაზე, ეს არის მხოლოდ თამაზ მეჭიაურის პოზიცია, თუ მმართველი გუნდის, თამარ კორაძაიას თქით, თავის პოზიციას ყველა თავად გამოხატავს.

რაც შეეხება უშუალოდ პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ვიდეომასალებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას, დეპუტატი აღნიშნული პროცესით კმაყოფილი არ არის.

– ბუნებრივია, არ ვიქნები კმაყოფილი იმიტომ, რომ გაცილებით მეტია საჭირო. გაცილებით რთული გამოსაძიებელი საქმეებია, ამიტომ გაცილებით მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ კიბერდანაშაულები გაიხსნას, ამიტომ თუ რესურსი არ გვყოფნის, უცხოელები უნდა მოვიწვიოთ. ახლა უკვე მოწვეული არიან უცხოელები და ვნახოთ, უახლოეს მომავალში რა შედეგები გვექნება ამ თვალსაზრისით, – განაცხადა კორძაიამ.

დეპუტატმა პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფაზე პასუხისმგებლობის შესაძლო გამკაცრების საკითხზეც გააკეთა კომენტარი.

თამარ კორაძაია მიიჩნევს, რომ გამკაცრება არ არის ცუდი საშუალება იმისთვის, რომ მომავალში რაღაც ტიპის პრევენციები განხორციელდეს.

– ისევ და ისევ ვამბობ, რომ გამკაცრება არ არის სრულყოფილი გზა პრობლემის გადაჭრისთვის იმიტომ, რომ თუ ვერ დაიხვეწა, ვერ ვისწავლეთ, ვერ გავეცანით თანამედროვე საშუალებებს ამ საქმეებზე გამოძიების, მაშინ კანონი მკაცრი იქნება თუ მსუბუქი, მნიშვნელობა არ აქვს იმიტომ, რომ ჩვენ უნდა გამოვიძიოთ ჯერ და მოვნახოთ ის, ვინც უნდა დაისაჯოს მკაცრი კანონის შესაბამისად, – განაცხადა კორძაიამ.

ინტერპრესნიუსი

„ეს შენ გეხება“ დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას მოითხოვს

კამპანია „ეს შენ გეხება“ დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას მოითხოვს, რომელიც სამართალდამცველი ორგანოების მიერ კანონდარღვევის ფაქტებს გამოიძიებს.

როგორც ჟურნალისტებს კამპანია „ეს შენ გეხებას“ წევრმა ეკა გიგაურმა განუცხადა, ასეთი ტიპის დამოუკიდებელი ორგანო გამოიძიებს არა მხოლოდ უკანონო მოსმენებთან და თვალთვალთან დაკავშირებით სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან ჩადენილ დანაშაულებებს, არამედ ყველა მიმართულებით.

ეკა გიგაური:

– ჩვენ ვითხოვთ დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნას, რომელიც გამოიძიებს სამართალდამცველი ორგანოების მიერ კანონის დარღვევის ფაქტებს.

როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ გამოძიება იყო არაეფექტური, იგივე ფარული ჩანაწერების არქივთან დაკავშირებით, ამის ერთ-ერთი არგუმენტი და მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ეს ადამიანები დღესაც მუშაობენ სამართალდამცველ უწყებებში.

შესაბამისად, იგივე სამართალდამცველ უწყებას ვერ დავავალებთ გამოძიებას მისივე თანამშრომლების კანონდარღვევებზე.

ასეთი ტიპის გამოძიებებთან დაკავშირებით საზოგადოების ნდობა არის ძალიან დაბალი, შესაბამისად, სამომავლოდ ჩვენ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია შეიქმნას დამოუკიდებელი უწყება ასეთი ტიპის გამოძიებებთან დაკავშირებით.

მისივე თქმით, გასული წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ფაქტი იყო, როდესაც კანონს არღვევდნენ პოლიციელები, თუმცა გამოძიებამ კონკრეტული შედეგები არ დადო.

– ჩვენ შევისწავლეთ საერთაშორისო პრაქტიკა და ძალიან ბევრ ევროპულ სახელმწიფოში არის ასეთი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც იძიებს მხოლოდ სამართალდამცველი ორგანოების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს. აქ არის საუბარი არა მხოლოდ უკანონო მოსმენებსა და თვალთვალზე, არამედ სხვა ტიპის დანაშაულებებზეც, – განაცხადა გიგაურმა საქართველოს მთავარ პროკურატურასთან, სადაც კამპანია „ეს შენ გეხებამ“ ფარული ჩანაწერების სწრაფი და ეფექტური გამოძიების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა.

გიგაურის თქმით, აქციით კამპანიაში შემავალმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოითხოვეს პროკურატურისგან, რომ ეფექტური გამოძიება აწარმოოს რამდენიმე დღის წინ ფარული ჩანაწერების ატვირთვასთან დაკავშირებით.

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ შემსრულებლების, არამედ დამკვეთების დასჯაც მოხდეს. დღეს მთელი საზოგადოება არის შანტაჟის ქვეშ და ეს ქმედებები მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ასევე ჩვენ ვითხოვთ პროკურატურისგან საბოლოოდ დაასრულოს გამოძიება შსს-ში არსებულ ფარული ჩანაწერების არქივთან დაკავშირებით. აქაც მნიშვნელოვანია დადგინდეს ვინ იდგა ამ არქივის შექმნის უკან და ვინ ასრულებდა უკანონო ბრძანებებს, რომლის შედეგადაც შეიქმნა ეს არქივი, სადაც ათასობით ვიდეო იყო დაცული, – განაცხადა გიგაურმა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ერეკლე კოდუა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 2 წელი მიუსაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ერეკლე კოდუა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნო.

ამის შესახებ განცხადებას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად უტყუარად დადასტურდა, რომ 2008 წლის 29 აგვისტოს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა ერეკლე კოდუამ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულ მერაბ რობაქიძეს არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ სახელმწიფოსთვის გადასაცემად 90.000 აშშ დოლარად აყიდვინა ორი ავტომანქანა, რომელთაგან ერთ-ერთი – 45.000 აშშ დოლარად ღირებული ლექსუს ჯიექს 470 ერეკლე კოდუამ, ნაცვლად სახელმწიფოსთვის გადაცემისა, თავისი შვილის სახელზე გააფორმა.

ასევე, 2009 წლის თებერვალში ერეკლე კოდუამ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებული გიორგი გურჩიანისთვის არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ მის ძმას, შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დირექტორ ერეკლე გურჩიანს გადაახდევინა ერეკლე კოდუას დედის, ლაურა ღაჭავას მიერ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“ 2008 წელს გამოყვანილი ლექსუსის მარკის ავტომანქანის საფასური 92.000 აშშ დოლარი და დამატებით აყიდვინა 41.500 ლარის ღირებულების „ტოიოტა ჰაი-ლუქსის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც მოგვიანებით ერეკლე კოდუას სახელზე გადაფორმდა.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის პროკურატურამ ერეკლე კოდუას ბრალი საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარუდგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დაუსწრებლად ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ორი ეპიზოდისთვის. სასჯელის შთანთქმის პრინციპისა და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ერეკლე კოდუას დანიშნული სასჯელი 2 წელი და 8 თვე შეუმცირდა და საბოლოოდ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

მასვე 2 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში ერეკლე კოდუა გამართლდა. გადაწყვეტილების ამ ნაწილში გასაჩივრების საკითხზე პროკურატურა იმსჯელებს მას შემდეგ, რაც სასამართლოსგან განაჩენს მიიღებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ამჟამად არსებითად განიხილება ერეკლე კოდუას ბრალდების კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმისა და მისი სასტიკად ცემის ფაქტს.

– აღნიშნულ საქმეზე ერეკლე კოდუას ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 237-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 10 წლამდე ვადით, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

* * *

პროკურატურის განცხადებას ერეკლე კოდუას ადვოკატი ოთარ კახიძე გამოეხმაურა.

მან „ინტერპრესნიუსს“ უთხრა, რომ პროკურატურის განცხადება, რომ სასამართლომ კოდუა გაამტყუნა, დეზინფორმაციულია.

– მანქანების მითვისების ყველა ეპიზოდში სასამართლომ ერეკლე კოდუა გაამართლა და პროკურატურის ეს განცხადება დეზინფორმაციულია. რაც შეეხება უფლებამოსილების გადამეტების ნაწილს, სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი იქნება ორ კვირაში და გვეცოდინება, რა იგულისხმა სასამართლომ უფლებამოსილების გადამეტებაში. მანამდე ყველა სახის განცხადება სპეკულაციაა, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

მამუკა ღლონტი: „სასამართლომ ბიძინა ივანიშვილი, გია ხუხაშვილი და ვანო ჩხარტიშვილი უნდა დაკითხოს“

25 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში „მაესტროს“ წილების გასხვისების საქმესთან დაკავშირებით ჩანიშნული პროცესი გადაიდო.

პროცესის გადადების შუამდგომლობა „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, მამუკა ღლონტის ადვოკატმა, პაატა კიკვიძემ დააყენა.

ამასთან, ადვოკატმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, „მაესტროს“ წილების საქმეზე მოხდეს ბიძინა ივანიშვილის, ვანო ჩხარტიშვილისა და გია ხუხაშვილის დაკითხვა.

კიკვიძემ აღნიშნული ახსნა იმით, რომ ამ ადამიანებს წილების გასხვისებასთან აქვთ კავშირი.

სასამართლოს სარჩელით მამუკა ღლონტმა მიმართა და ის „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელის, გია გაჩეჩილაძის წილების 10 პროცენტს შეეხება. ღლონტის მტკიცებით, აღნიშნული 10% „მას არ ეკუთვნის“.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მამუკა ღლონტმა განცხადება გააკეთა.

– იმედი მაქვს, ბიძინა ივანიშვილი დაადასტურებს, რომ გია გაჩეჩილაძემ თავისი წილი გაყიდა და ამაში ფულია გადახდილი, – განაცხადა მამუკა ღლონტმა.

მან დაადასტურა, რომ სასამართლო განხილვებზე მოწმის სახით სურთ დაიბარონ ბიძინა ივანიშვილი, გია ხუხაშვილი და ვანო ჩხარტიშვილი, რადგან თავის დროზე შედგა შეხვედრა, სადაც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა წინადადებით, რომ შეიძენდა გია გაჩეჩილაძის წილს.

– დასახელდნენ ბიძინა ივანიშვილი, ვისგანაც წამოვიდა წინადადება, რომ შეიძენდა გია გაჩეჩილაძის წილს. ასევე გია ხუხაშვილი, რომელიც ესწრებოდა ამ საუბარს და ვანო ჩხარტიშვილი, რომელიც ორი დღის წინ ჩემთან იყო შეხვედრაზე მოსული და მომმართა წინადადებით, რომ გია გაჩეჩილაძეს გამოართმევდა სადავო წილს. ჩემს კითხვაზე, ისევ მე დამიბრუნებდა თუ არა ამ წილს, მან პასუხი ვერ გამცა, აქედან გამომდინარე ჩვენი საუბარი შეწყდა, – განაცხადა მამუკა ღლონტმა.

გია გაჩეჩილაძეს მაკა ასათიანის წილი არ უყიდია

„მაესტროს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ მან არ იცის, ბიძინა ივანიშვილმა გადაუხადა თანხა გაჩეჩილაძეებს თუ ვანო ჩხარტიშვილმა. მან მხოლოდ ის იცის, რომ ბიძინა ივანიშვილის წინადადება იყო გია გაჩეჩილაძის მიერ წილების გასხვისება და მას შემდეგ გია გაჩეჩილაძემ გააფორმა ის ხელშეკრულება, რომლითაც მართვაში გადასცა მან საკუთარი წილები სხვა დამფუძნებლებს.

– იმედი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ დამალავს სიმართლეს. არ ვიცი, რა შეიცვალა მის წარმოდგენაში და ვინ რა ჭორი მიუტანა, თუმცა იმედი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი დაადასტურებს, რომ გია გაჩეჩილაძემ თავისი წილი გაყიდა და ამაში ფულია გადახდილი, – განაცხადა მამუკა ღლონტმა.

მას „მაესტროში“ გია გაჩეჩილაძის წილების ნაწილთან დაკავშირებით პრეტენზიები აქვს. საქმე ეხება 2011 წელს გია გაჩეჩილაძის მიერ სხვა დამფუძნებლების სასარგებლოდ წილების მართვაში გადაცემას.

* * *

ამასობაში გავრცელდა ხმა გია გაჩეჩილაძის მიერ მაკა ასათიანის წილის შესყიდვის შესახებ.

თავად გაჩეჩილაძემ ეს ხმა არ დაადასტურა.

– ტყუილია, საერთოდ არ მიდის წილის გაყიდვა-გამოყიდვაზე ლაპარაკი. ერთობლივ მართვასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ვინ ავრცელებს ამ ტყუილებს, წარმოდგენა არა მაქვს, – უთხრა გია გაჩეჩილაძემ ინტერპრესნიუსს.

გია გაჩეჩილაძის მიერ მაკა ასათიანის 25%-იანი წილის შესყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს გია გაჩეჩილაძის ადვოკატი ირაკლი კორძახია.

– მე არ მაქვს ინფორმაცია, რომ ასეთი მოლაპარაკება მიმდინარეობს. მხარეებს შორის მორიგებასთან დაკავშირებით კომუნიკაცია მიმდინარეობს, რომელიც „მაესტროს“ ფინანსური ვალდებულების განსაზღვრას და მათი გადახდის გზების მოძიებას მოიცავს, – აცხადებს ირაკლი კორძახია.

მაკა ასათიანის ადვოკატი გიორგი გვენეტაძეც უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას.

– მაკა ასათიანს წილი გია გაჩეჩილაძისთვის არ მიუყიდია. გავრცელებული ინფორმაცია არის არასწორი, მცდარი, დეზინფორმაცია. მოლაპარაკებები ამჟამად ამ საკითხზე არ მიმდინარეობს, – განაცხადა გიორგი გვენეტაძემ.

ნინო ბურჯანაძე: „თინა ხიდაშელის ფონზე კარასინისგან ბევრად მწვავე განცხადებას ველოდი“

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს, უნდა თუ არა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის განცხადება და შერბილებულიც კი მოეჩვენა იმ ფონზე, როდესაც თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის მხრიდან რუსეთზე არაადეკვატური განცხადებები კეთდება.

– მიკვირს, რატომ გაუკვირდა ვინმეს კარასინის რეაქცია. რას ელოდებით, ბატონებო?! როდესაც რუსეთს ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ასეთი ტონით ელაპარაკება, რა ტონითაც ჩვენი თავდაცვის მინისტრი ლაპარაკობს, როდესაც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ამბობს – რუსებს რა უნდა ველაპარაკოთ, როგორ შეიძლება მათთან ნორმალური ურთიერთობა, ეს ის ხალხია, რომელიც ლენინგრადის ბლოკადის დროს ძაღლებს, კატებსა და თაგვებს ჭამდნენო. როცა ასეთ შეურაცხყოფას მიაყენებ ერს, რომელმაც მილიონობით ადამიანი დაკარგა ლენინგრადის ბლოკადის დროს, ადამიანები მართლაც შიმშილით იხოცებოდნენ და მშობლებს იმის არჩევა უწევდათ, რომელი შვილისთვის მეტი საჭმელი მიეცათ, რომელს ჰქონდა მეტი შანსი გადარჩენის, ამას ვინ გაპატიებს?! კიდევ ძალიან თავშეკავებული რეაქცია აქვს რუსეთს, – განაცხადა ბურჯანაძემ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის განცხადებით, საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს, უნდა რუსეთთან ურთიერთობა, თუ არა.

– ქვეყანა, რომელიც ამბობს, რომ უნდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება და ამ დროს, ჩვენი თავდაცვის მინისტრი აკეთებს განცხადებას, რომ დღევანდელი მსოფლიოს მთავარი გამოწვევა არის ისლამური სახელმწიფო და რუსეთიო, რას ელოდებით, ბატონებო, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან?!

მომაჩანია, რომ ნამდვილად თავშეკავებული განცხადებები გააკეთა ბატონმა კარასინმა და გაცილებით მწვავე განცხადებას გააკეთებდა მის ადგილზე სხვა. ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, გვინდა რუსეთთან ურთიერთობა, თუ გვინდა, ვეძახოთ რუსეთს ისლამური სახელმწიფოსნაირი საფრთხე, – განაცხადა ბურჯანაძემ.

გაახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

გია ცაგარეიშვილი: „ღარიბაშვილი პოლიტიკურ ფიგურად ვერ ჩამოყალიბდა“

ნათია ხურცილავა

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გია ცაგარეიშვილი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

გია ცაგარეიშვილი:

– ირაკლი ღარიბაშვილის მომავალი ნაკლებად მაღელვებს, მაგრამ, თუ უნდა დაბრუნდეს, მაშინ სამი თვის წინ რას უშვებდნენ?! თანაც როგორ გაუშვეს, საკმაოდ უხერხული იყო ეს მისთვისაც, როგორც პრემიერისთვის და უხერხული იყო ჩვენი ქვეყნისთვისაც. როდესაც პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ბედი ერთ საღამოს გადაწყდა.

– თქვენ ასე ფიქრობთ?

– რა თქმა უნდა, ეს გადაწყვიტა ერთმა ადამიანმა, ბიძინა ივანიშვილმა.

– „ქართული ოცნება“ თითქოს ორად გაიყო – ნაწილი მის დაბრუნებას მიესალმება, ნაწილს თითქოს არ მოსწონს.

– რაში არსებობს ერთიანი პოზიცია „ქართულ ოცნებაში“, რომ ღარიბაშვილის დაბრუნება-არდაბრუნებაზე ჰქონდეთ ერთიანი პოზიცია. თუ ღარიბაშვილი ქართულ პოლიტიკაში მობრუნდება, ამ გადაწყვეტილებას ერთი ადამიანი მიიღებს და ეს ბატონი ივანიშვილი იქნება და არა მეჭიაური ან სხვა რომელიმე მისი კოლეგა, რომლებიც ღარიბაშვილის შესაძლო დაბრუნებით აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

– „ქართულ ოცნებას“ დაუდგა ყოფილი პრემიერის დაბრუნების საჭიროება?

– ვერ გეტყვით, რა პოლიტიკური რესურსი გააჩნია ირაკლი ღარიბაშვილს. რა გავლენები აქვს მას ან რა ავტორიტეტი, ეს არ შეიმჩნევა. ეს ადამიანი ვერ ჩამოყალიბდა მთავარ პოლიტიკურ ფიგურად, თორემ ბევრი ყოფილი გვახსოვს და გვინახავს, რომლებიც არიან ყოფილები, მაგრამ მათ დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი პოლიტიკაში. არა მგონია, რომ ღარიბაშვილი იყოს მისი ყოფილი პარტიისთვის წარმატების ფორმულა. ეჭვი მეპარება, რომ ის პოლიტიკაში მობრუნდეს.

– ვიცეპრემიერმა კალაძემ განაცხადა, რომ პარტია „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ახალი სახე იქნება წარმოდგენილი და ის განახლებული სახით წარდგება არჩევნებზე. თუ ასე მოხდა, არჩევნებზე განახლებულ ძალასთან მოგიწევთ დაპირისპირება.

– ამაში ცოტა ეჭვი მეპარება. თუ მმართველ ძალას განახლება და გარდაქმნა უნდოდა, ამისთვის მას თითქმის ოთხი წელი ჰქონდა და აქამდე მოახერხებდა, მაგრამ ამ ძალას, როგორც ჩანს, ამის სურვილი არ გააჩნია. მე ვსაუბრობ პარტია „ქართულ ოცნებაზე“, კოალიციაზე საერთოდ აღარ ვსაუბრობ, რადგან იქ ამის ნიშანწყალიც კი არ იგრძნობა. „ქართული ოცნება“ ივანიშვილია.

– სხვა არავინ?

– სხვა არ არსებობს. ბიძინა ივანიშვილმა დღეს რომ თქვას, პარტიას არ დააფინანსებს, ემიჯნება საერთოდ პოლიტიკურ პროცესებს, ნახავთ მერე, რა ბედი ეწევა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე. პარტია „ქართული ოცნება“ იარსებებს მანამ, სანამ ამ ერთ ადამიანს უნდა. ეს ძალიან ჰგავს მოქალაქეთა კავშირსა და ნაციონალურ მოძრაობას, რომლის ლიდერიც ოდესაში იმყოფება და თავის ქვეყანაში ძებნილია.

– თუმცა პარტია არსებობს და პარლამენტშიც არის წარმოდგენილი.

– პარტია არსებობს, მაგრამ ქალაქზე საქართველოს კომუნისტური პარტიაც არსებობს.

თუ საზოგადოება ფიქრობდა, რომ „ქართული ოცნება“ მიზიდულობის ცენტრი იქნებოდა, მისაბაძი მაგალითი სხვა პარტიებისთვის, ასე არ მოხდა. ის ვერ გახდა მისაბაძი ვერც კოალიციისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, კოალიციის შიგნით ასეთი პოლიტიკური ინტრიგები, გარჩევები და ქილიკი არ იქნებოდა. ბატონ ბიძინა ივანიშვილს პარტიისთვის არ სცალია. ის პარტიის მშენებლობაში ჩართული არ არის და ვინც არის, მან ეს საქმე არ იცის.

– კახა კალაძეზე საუბრობთ?

– ყველაზე ვამბობ ამას. გამგეობების, თვითმმართველობის თანამშრომლების შეკრება, ეს, იცით, როგორი წარსულია? გასული საუკუნის 95-96 წლების მოქკავშირის ლიდერები აკეთებდნენ ამას.

– არჩევნებისათვის კოალიცია დაიშლება თუ ერთიანი ფორმატით წარდგება?

– „ქართული ოცნების“ ხელშია კოალიციის შენარჩუნებაც და კოალიციის დაშლაც. დანარჩენი პარტიების წვლილი ნაკლებია. ბევრი მიკედლებულია კოალიციას, სანამ კარისკენ არ მიუთითებენ.

ვერ გეტყვით, რამდენად ღირებულია ეს პარტიები ახლა „ქართული ოცნებისთვის“. 2012 წლის 1 ოქტომბრამდე განსხვავებული სიტუაცია იყო. მაშინ საჭირო იყო პარტიების მძლავრი ერთობა და ეს იყო წარმატების ფორმულა. დღეს სულ სხვა პოლიტიკური კონტექსტია.

გვინდა, რომ ეს არჩევნები იყოს პროგრამების, იდეების ორთაბრძოლა და არა გაუთავებელი ლანძღვა-გინება. ამომრჩეველი გაიზარდა და კარგად ხედავს, ვინ გადაუხვია დაპირებებს და ვინ დარჩა ერთგული. „ქართული ოცნების“ ბევრი ლიდერი იმ ბრძოლაში, რომელშიც ჩვენ ვიყავით ჩართული, თვალით არ დამინახავს.

რას მოიმოქმედებს რუსეთი საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ისევ აქტუალურია რუსეთიდან მომავალი საფრთხეების თემა. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთი სხვადასხვა ინტერესების გამტარებელი ძალის ხელისუფლებაში მოსაყვანად ყველა ხერხს გამოიყენებს.

რუსეთში პუტინის მიმართ ნდობა შემცირდა

გარდა რბილი ძალისა და აგრესიისა, რომლებსაც რუსეთი იყენებს, მოსალოდნელია არეულობის პროვოცირება. არსებობს ინფორმაცია, რომ დესტაბილიზაციისათვის დაგეგმილია რელიგიურ-მორალური თემების გამოყენება.

17 მაისი ლგბტ პირების უფლებების დაცვის დღეა. ამ დღისთვის ჩაფიქრებულია პროვოკაციები და დაპირისპირება უმცირესობების უფლებების დამცველებსა და ტრადიციების მიმდევრებს შორის. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ ექსპერტები. ამასვე ადასტურებს გიორგი ტატიშვილიც, რომელმაც გარკვეული ხნის წინ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც ფაქტობრივად მოითხოვა ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონება.

ანალიტიკოსების აზრით, რუსეთი თავისი გავლენების გასაძლიერებლად გააქტიურდება სამხრეთ კავკასიაში. საამისოდ მას მეტი რესურსის გამოყენება შეუძლია სირიიდან საკუთარი ძირითადი კონტინგენტის გამოყვანის ფონზე.

ამერიკული „ნეიშენელ ინტერესი“ წერს, რომ რუსეთის კონტინგენტის სირიიდან გამოყვანას შორსმიმავალი მიზნები აქვს. რუსეთის გადაწყვეტილება სირიიდან გამოსვლის შესახებ მოულოდნელია მას შემდეგ, რაც რუსეთი აპირებდა საერთაშორისო კოალიციის შექმნას ისლამურ რადიკალიზმთან საბრძოლველად.

შესაძლოა, სწორია დამკვირვებლების აზრი, რომ რუსეთმა ამ ნაბიჯით თავი აარიდა სირიაში ხანგრძლივ კონფლიქტში ჩაბმას, მაგრამ, „ნეიშენელ ინტერესის“ თქმით, კრემლს შორეულ პერსპექტივაზე გათვლილი გეგმებიც აქვს. ესაა პოზიციების გაძლიერება.

ქართველ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკურად დასუსტებულ რუსეთს ნაკლები ამბიცია ექნება და ის უფრო დამთმობი იქნება დანარჩენი მსოფლიოს, მათ შორის, დასავლეთის მიმართ. რუსეთი დიდი ხანია, ეკონომიკურად დაუძლურებულია.

„ნიუ-იორკ თაიმსი“ შენიშნავს, რომ რუსეთს საგრძნობლად შეუმცირდა შემოსავლები ნავთობიდან, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მოიფიქრა ეკონომიკის ფუნქციონირების ახალი ხერხები – შავი დღის მარაგების ხარჯვა, ხელფასებისა და პენსიების შემცირება და გადასახადების ზრდა 2017 წლიდან.

ასეთ მიდგომებს ჰყავს გამკრიტიკებლები. განსაკუთრებულ პროტესტს გადასახადების მოსალოდნელი ზრდა იწვევს.

ბოლო კვლევის თანახმად, რუსეთის პრეზიდენტისადმი ნდობა შემცირდა. ლევადა-ცენტრის მონაცემებით, ამჟამად პუტინს ენდობა გამოკითხულთა 73%. შარშან ეს მონაცემი 83% იყო, თუმცა გაზრდილია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც უნდათ, რომ პუტინი კიდევ ერთი ვადით გახდეს პრეზიდენტი. ასეთების რაოდენობა 65%-ია, შარშან კი 57% იყო.

როგორც ჩანს, რუსეთ-ამერიკის კონკურენცია გაძლიერდება აზერბაიჯანში, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება.

ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა აზერბაიჯანის ურთიერთობები დასავლეთთან. თვის ბოლოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი მიწვეულია აშშ-ში ბირთვულ სამიტზე. აშშ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები მიესალმნენ ალიევის განკარგულებას 148 პირის შეწყალების შესახებ. ისინი პოლიტპატიმრებად ითვლებიან, თუმცა ბაქო აქამდე პოლიტპატიმრების არსებობას უარყოფდა.

ამჯერად აზერბაიჯანი იმისთვისაც მზადაა, რომ აღადგინოს ამერიკული ორგანიზაციების ენდიაისა და აირაის საქმიანობა თავის ტერიტორიაზე. ამის საპასუხოდ ბაქო აშშ-სგან მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რეჟიმის დაფინანსების შეწყვეტას მოითხოვს.

თელავში ყალბი ფულის გამოყენების ფაქტი გამოვლინდა

შსს-ს ინფორმაციით, თელავში ყალბი ფულის გამოყენების ფაქტი გამოვლინდა. მომხდართან დაკავშირებით რამდენიმე პირია დაკავებული.

ჯერჯერობით არ კონკრეტდება თანხის ოდენობა. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 212-ე მუხლით. საქმეს კრიმინალური პოლიციის კახეთის სამხარეო განყოფილება იძიებს.

არსებული ინფორმაციით, თელავში ყალბი 20-ლარიანების გამოყენების ფაქტი გამოვლინდა.

ინტერპრესნიუსი

დავით ნარმანია: „ვინც თვლის, რომ მისი გათავისუფლება უკანონოდ მოხდა, შეუძლია სასამართლოს მიმართოს“

დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, რომელიც მან თბილისის ბაგა-ბაღების გადაყენებული დირექტორების პროტესტთან დაკავშირებით გააკეთა, მათ, ვინც ფიქრობს, რომ უკანონოდ იქნენ გათავისუფლებულები, შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ.

– ყველაფერი ნორმის ფარგლებშია და რაიმე სახის სამართლებრივი საფუძველი პროტესტთან დაკავშირებით არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ ბაღებში სასწავლო პროცესი გავაგრძელოთ, რათა ჩვენს პატარებს არაფერი მოაკლდეთ. ჩვენი უმთავრესი საზრუნავი, ჩვენი პატარებია. იმისთვის, რომ მათ უკეთესი პირობები და უფრო მოწესრიგებული გარემო ჰქონდეთ, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ და ვაპირებთ მომავალშიც ასე გავაგრძელოთ.

თუ ვინმეს პრეტენზია აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი უკანონოდ გათავისუფლებულები არიან, არსებობს სამართლებრივი ბერკეტები, მექანიზმები და სასამართლო, – განაცხადა ნარმანიამ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს განცხადებით, თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად, ბაღებში თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტები დაფიქსირდა და მათი თქმით, დირექტორთა გათავისუფლება სწორედ ამ მიზეზით მოხდა.

ნიუსპრესი

ანი მიროტაძე: „სააკაშვილი იყო პორნოსკანდალების, ამ ათიათასობით ფაილის თანაავტორი“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ანი მიროტაძე ამბობს, რომ ფარული ჩანაწერების თანაავტორი ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

– ნაციონალურ მოძრაობას ალბათ, პირადი გამოცდილება აქვს. როდესაც მიხეილ სააკაშვილი იყო ხოლმე ასეთი პორნოსკანდალების, ამ ათიათასობით ფაილის თანაავტორი და როგორც ამბობდნენ, თვითონაც ხშირად აქტიურად უყურებდა ამ კადრებს. მორალური ტერორი არის მორალური ტერორი და მისი ყველა ფორმა ჩემთვის მიუღებელია, – განაცხადა მიროტაძემ.

მედიანიუსი

ნონა ცაბაძე

ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის გაუფასურება მოსალოდნელი არ არის“

ლარი უცხოური ვალუტის მიმართ ისევ გაუფასურდა. 1 დოლარის ოფიციალური ლირებულება 2.32 ლარი გახდა, 1 ევროს შეძენა კი 2.59 ლარად არის შესაძლებელი.

რა პროცესებს უნდა ველოდოთ ამ კუთხით? დროებითი იყო თუ არა ეროვნული ვალუტის გამყარება? „ახალი თაობის“ კითხვებს სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძე პასუხობს.

– ბატონო ალექსანდრე, ბოლო პერიოდში საზოგადოება გაახარა ლარის გამყარებამ, თუმცა ბოლო ორი დღეა, ლარმა ისევ გაუფასურება დაიწყო. რით ახსნით ამ ყოველივეს? რა პროცესი მიმდინარეობს?

– არავითარი გაუფასურება არ მიმდინარეობს. ლარი არ გაუფასურებულა, პირიქით, მყარდება. არ შეიძლება, ერთი და ორი დღის მონაცემებით ვიმსჯელოთ. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ერთი თვის სტატისტიკაა საჭირო შეფასებისთვის და, ამ სტატისტიკის მიხედვით, ლარი მყარდება. კურსი მცირედით ხან აიწევს, ხან დაიწევს, მაგრამ საერთო სტატისტიკა იქნება ლარის გამყარებისკენ.

– მოსახლეობა აღარ უნდა ელოდოს ლარის გაუფასურებას?

– მე ვფიქრობ, რომ აღარ უნდა გაუფასურდეს. ჯერჯერობით ყველაფერი აქეთკენ მიდის. თუ კვლავ უთანხმოება მოხდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, შეიძლება გაუფასურდეს, თუმცა ამ ეტაპზე ამასაც გამოვრიცხავ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

– მხოლოდ ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობა განაპირობებს ლარის კურსს?

– მე ამას უკვე ერთ წელზე მეტია ვამბობ და არავინ მაქცევთ ყურადღებას, რომ ამას აკეთებდა ქადაგიძე სპეციალურად და მიზანმიმართულად.

„ქადაგიძის ადგილი პარლამენტში კი არა, ციხეშია“

– რაში სჭირდებოდა ყოველივე ეს?

– რაღაც რევანშისტული მიზნები ჰქონდა. სულ ვამბობდი, მიხედეთ-მეთქი ამ კაცს, მაგრამ კოჰაბიტაციის გამო ეს არ გააკეთეს. ამ კოჰაბიტაციას კი ჩვენც შევეწირეთ და ჩვენი კეთილდღეობაც. მე ხუთი-ექვსი თვის წინ ვამბობდი, რომ წავა თუ არა ქადაგიძე, ლარი დაიწყებს გამყარებას.

– რა ღონისძიებები გატარდა იმისთვის, რომ ლარი გამყარებულიყო?

– არაფერი განსაკუთრებული. ყურადღებას აქცევენ მიმოქცევაში მყოფ ფულად მასას და აკეთებენ კორექტირებას. ეს ძალიან მარტივი ტექნოლოგიებია.

– ზაფხულის სეზონი მოდის, გაიზრდება ტურისტების შემოდინებაც და სიტუაცია კიდევ უფრო გაუმჯობესდებაო. ასეა?

– მერწმუნეთ, არ არის ლარის კურსი ამაზე დამოკიდებული. შეიძლება, სხვა რაღაცებზე აისახოს ეს, მაგრამ არა – გაცვლით კურსზე. აქ, უბრალოდ, ოქროს შუალედია მოსაძებნი. სწორედ ამაშია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხელოვნება, რომელმაც ზუსტად უნდა გათვალოს, როგორი უნდა იყოს გაცვლითი კურსი, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. მე მიმაჩნია, რომ 1.8 ყველაზე კარგი კურსია.

– როდიდან აისახება მოსახლეობის ჯიბეზე ეროვნული ვალუტის გამყარება? ვგულისხმობ საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების გაიაფებას. გვესმის შეფასებები, რომ ამას ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება.

– რეალური შედეგი რომ ვიგრძნოთ, ერთი წელი მაინც უნდა გავიდეს. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო და ჩვენც დაველოდოთ შემოდგომას. თუმცა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა უკვე იგრძნო შეღავათი, მაგალითად, ვისაც კრედიტები დოლარში აქვს აღებული, მათ სესხი საგრძნობლად გაუიაფდათ. იმასაც გეტყვით, მოსახლეობა ასეთ მძიმე დარტყმას არ მიიღებდა, რომ ჩვენს ბანკებს საქართველოს კონსტიტუცია დაეცვათ.

– რას გულისხმობთ?

– საქართველოს კონსტიტუციით, ჩვენი ეროვნული ვალუტა არის ლარი! ამიტომ ყველა კრედიტი ლარში უნდა გაიცემოდეს და არა – დოლარში. ბანკებმა შეიძლება დააწესონ სხვა პროცენტი, შეიძლება ცოტა მაღალიც, მაგრამ კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარში და დაფიქსირებული უნდა იყოს მხოლოდ ლარში. ეს არის საქართველოს კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნა, რომელსაც ჩვენი კომერციული ბანკები არ იცავენ!

– ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ გატარდება ეს პოლიტიკა?

– ვნახოთ, დაველოდოთ, რას იზამს ახალი პრეზიდენტი. ჯერ ძალიან მცირე დრო გავიდა მისი მოსვლიდან. დასკვნების გაკეთებას ნუ ვიჩქარებთ.

– ამბობენ, ქადაგიძეს ნაციონალებმა ამაგი დაუფასეს და ის გამსვლელ სიაში მოხვდაო. ამაზე რას იტყვით?

– რასაკვირველია, დაუფასეს. ის ხომ ნაციონალების დაკვეთებს ასრულებდა. პირადად მე მგონია, რომ პარლამენტში კი არ არის ქადაგიძის ადგილი, არამედ – გისოსებს მიღმა. თუმცა ქადაგიძე ისე მოქმედებდა, რომ კანონი არ დაურღვევია, გაუჭირდება პროკურატურას, რომ სამართლებრივად შეედავოს.

– ეს როგორ?

– ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, რომ იტყვიან, ნამდვილი საჭურისები იყვნენ, ქადაგიძეს წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა და მათაც თავისი სურვილისამებრ ატრიალებდა, უკანონო გადაწყვეტილებას კანონიერს ხდიდა მათი მეშვეობით, დანაშაულს „აპრავებდა“. ამისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. სწორედ ეს არის შემაშფოთებელი. სად არის შენი პიროვნულობა? ოღონდ ხელფასი არ დაკარგონ და ყველაფერს კადრულობენ.

როგორ აფასებენ პედაგოგები პროფესიული განვითარების ახალ სქემას

პედაგოგთა მოტივაციის ასამაღლებლად, როგორც ცნობილია, არცთუ დიდი ხნის წინ მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა. მასწავლებლები პროფესიული განვითარების ახალ სქემაში ჩაერთვნენ, რითაც მათი პროფესიული განვითარების საფეხურები განისაზღვრა, ამასთანავე, სქემა პირდაპირ კავშირშია მათ შრომით ანაზღაურებასთან.

განათლების ექსპერტთა აზრით, თუნდაც შემოსავლის გაზრდის ფაქტორი მასწავლებელს მოტივაციას გაუზრდის, რომ ყველა საფეხურის გავლით უმაღლეს საფეხურამდე ავიდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასწავლებლის შეფასება და განვითარების საფეხურების განსაზღვრა ძირითადად სკოლაში უნდა მოხდეს, რაც სკოლის პრესტიჟსაც ზრდის და შეფასების იმ კომპონენტს დანერგავს, რომელსაც სკოლა წლების განმავლობაში მოკლებული იყო.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ერთიანი სისტემაა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია პედაგოგის მომზადება პროფესიისთვის და მისი შემდგომი პროფესიული განვითარება. დოკუმენტში ასახულია, როგორი უნდა იყოს საუნივერსიტეტო პროგრამა, პროფესიაში შესვლის გზები და როგორ უნდა მოხდეს პედაგოგების ხელშეწყობა კარიერულ წინსვლაში.

მანამდე მოქმედი სერტიფიცირების მოდელის ძირითად ხარვეზად ექსპერტები ასახელებენ იმას, რომ მოდელი არასისტემური იყო და მასწავლებლის შეფასება ხდებოდა მხოლოდ საგამოცდო ფორმატში, არ იყო ორიენტირებული მასწავლებლის განვითარებაზე და სრულად ვერ ასახავდა მის საქმიანობასა და პრაქტიკულ უნარჩვევებს.

როგორც აფასებენ სქემაში უკვე ჩართული პედაგოგები დანერგილ სიახლეს, ამის გასარკვევად სკოლის პედაგოგებსა და დირექტორებს ვესაუბრეთ.

თბილისის 85-ე საჯარო სკოლის დირექტორ ეკატერინე კვირიკაშვილის თქმით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვას გარკვეული რისკები ახლავს. მეტი განმარტება, მეტი ინფორმირებულობა და სწორი აქცენტებია საჭირო, თუმცა, ღრმადაა დარწმუნებული, რომ პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა ნათლად დანახული პერსპექტივისა და საჭიროების შემთხვევაში უკან არ დაიხევს, მოსწავლეთა უკეთესი მომავლისთვის სისტემატიზაცია გაუკეთოს იმას, რასაც ისედაც აკეთებს:

– არცერთი მასწავლებელი უარს არ იტყვის ცოდნისა და უნარების განახლებაზე, საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებაზე, თუ მას ეცოდინება, რომ საქართველოს უკეთესი მომავლის მშენებლობას ემსახურება და ეს აღიარებული და დაფასებული იქნება. ყველამ ერთად უნდა დავიჯეროთ ჩვენი საქმიანობის უპირატესობა და მთელი საზოგადოება უნდა შეთანხმდეს იმაზე, რომ ამქვეყნად ყველაზე საპატიოა, გერქვას მასწავლებელი, – აცხადებს სკოლის დირექტორი.

ქიმიის მასწავლებელი და შეფასების ჯგუფის წევრი საბუნემისმეტყველო კათედრიდან ნინელი ბეჟუაშვილი ფიქრობს, რომ სქემა საქართველოს სკოლებში ბევრ რამეს შეცვლის უკეთესობისკენ. მისი აზრით, სქემაში არაფერია ისეთი, რაც საგაკვეთილო პროცესის მიღმაა, პირიქით, სქემა ხელს შეუწყობს იმაში, რომ ყოველდღიური საქმიანობა კარიერული წინსვლის წინაპირობად აქციოს. მისივე თქმით, სქემა მასწავლებლებს დაეხმარება პროფესიულ ზრდაში.

ციცინო არსენაშვილი, ფიზიკის მასწავლებელი:

– მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვა მასწავლებლის საქმიანობას მეტად სტრუქტურირებულს, სისტემურს გახდის. ასეთი სქემის დანერგვა მასწავლებლებს უბიძგებს „სარკეში ჩახედვისკენ“. გვერდიდან ვუყურებ საკუთარ თავს და ვხვდები, რა მაქვს გასაუმჯობესებელი. სქემის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები მასწავლებელს აძლევს საშუალებას, ზუსტად იცოდეს, სად არის, რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მივიდეს სასურველ შედეგამდე და როგორ შეაფასოს საკუთარი მოღვაწეობა. მასწავლებელმა ზუსტად იცის როგორც მის მიერ განსახორციელებელი აქტივობები და მათი დადებითი შედეგები, ასევე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ აქტივობებს ვერ ან არ შეასრულებს, ეს ფაქტორი კი პროცესებს გამჭვირვალეს ხდის და მასწავლებელს ეხმარება, საკუთარი მუშაობა დაგეგმოს.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელი შორენა ბუნტური ფიქრობს, რომ სქემა ხელს შეუწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-მართვა-შეფასებას. მისი მოსაზრებით, სქემის წარმატებით დანერგვისთვის გადამწყვეტად აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციის როლი, რადგან, თუ ადმინისტრაციას არ აქვს შესაბამისი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, მასწავლებელს შესაბამისი ინფორმაცია არ ექნება, რაც ხელს შეუშლის სქემის ეფექტურად მუშაობას: „უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციამ თუ არ შეუწყო ხელი სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ცალკეული მასწავლებლების ინიციატივები, რაც არ უნდა შედეგზე ორიენტირებული იყოს, ვერ იქნება ეფექტური, – აცხადებს პედაგოგი.

მიზნობრივი და დროში გაწერილი აქტივობების დაგეგმვით ინგლისურის მასწავლებელს თამარ ბეჟანიშვილს სქემამ საშუალება მისცა, დაედგინა საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები:

– ბუნებრივია, ამას მასწავლებელი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მანამდეც აკეთებდა, თუმცა სქემამ ამ ყველაფერს დაგეგმილი სახე მისცა და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მხრიდან არის ნება, დროული და კონკრეტულ საჭიროებაზე ორიენტირებული დახმარება აღმოუჩინოს მასწავლებელს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი სოფიკო ბოქოლიშვილიც ფიქრობს, რომ სქემა მას და მის კოლეგებს პროფესიულ ზრდაში დაეხმარება, რადგან ახალი სქემა პროფესიული დიალოგისა და პროფესიული ზრდის საუკეთესო საშუალებაა, სტატუსის ცვლილებას მიბმული სახელფასო პაკეტი კი მომავალი მასწავლებლისთვის კარგი მოტივაცია გახდება.

ქიმიის მასწავლებელ თამილა აბესაძის აზრით, სქემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ ყოველდღიურ საქმიანობასთან და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეული აქტივობის მიზანი მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაა:

– განსხვავებით ძველი სქემისგან, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელს სტატუსის შესაცვლელად რვა წელი სჭირდებოდა, ამჯერად მხოლოდ ზედა ზღვარია დაწესებული და, მასწავლებელი როცა შეასრულებს მისი სტატუსისთვის განსაზღვრულ სავალდებულო და დამატებით აქტივობებს, შეუძლია გადაინაცვლოს შემდეგ სტატუსზე, რაც კარგი მოტივატორია ნებისმიერი მასწავლებლისთვის.

მუსიკის მასწავლებელი ნაზი გოჩიაშვილი მიიჩნევს, რომ სქემის ამოქმედებამდე ყველა მასწავლებელს არ ჰქონდა თანაბარი შესაძლებლობა, თავი წარმოეჩინა, რადგან სასერტიფიკაციო გამოცდები რიგ საგნებში გვიან დაიწყო:

– სქემის ფარგლებში კი ყველას შეუძლია თავისთვის მორგებულად, დროში გაწეროს აქტივობები, მიჰყვეს ვადებს ან დააჩქაროს კარიერული წინსვლის პროცესები, ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სქემა ითვალისწინებს მასწავლებლების ინდივიდუალურ შესაძლებლობებსაც, – აცხადებს პედაგოგი.

საბოლოოდ, მასწავლებლები ფიქრობენ, რომ სქემის დანერგვისთვის ყველა საჭირო წინაპირობა არსებობს. ისინი აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ყველა მხარე, პოლიტიკის შემქმნელები თუ განმხორციელებლები, საკუთარ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში თანმიმდევრულები იყვნენ. მასწავლებლებს სურთ დარწმუნდნენ, რომ სქემა იმუშავებს და თითოეულ მათგანზე იქნება მორგებული.

დაბოლოს, განათლების სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ახალი მიდგომა საშუალებას იძლევა, საქმის კურსში იყვნენ, რამდენად ეფექტურად იყენებს პედაგოგი ცოდნასა და უნარჩვევებს პრაქტიკაში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსწავლის შედეგები გაუმჯობესდეს. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ახალი სქემის ამოქმედების საფუძველზე მოსწავლის სასწავლო შედეგები გაუმჯობესდება და მივიღებთ გაძლიერებულ და გადამზადებულ პედაგოგთა კორპუსს, სისტემაში თავიდანვე კვალიფიციური კადრის შედინება მოხდება.

ნინო ჩხენკელი

ილია II: „ავტოკეფალია გახდა ის საფუძველი, რომელზეც ჩვენი კულტურა და ლიტერატურა აშენდა“

25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენის დღე აღნიშნა.

ამ დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თბილისში, სიონის ტაძარში, პარაკლისი აღასრულა.

როგორც ქადაგებისას უწმინდესმა ბრძანა, ეკლესიის ავტოკეფალიაზე საქართველოს მთელი ისტორია დგას.

– ანტიოქიის საეკლესიო კრებამ თავისუფლება და ავტოკეფალია საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიებს მიანიჭა. სწორედ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გახდა ის საფუძველი, რომელზეც ჩვენი კულტურა და ლიტერატურა აშენდა. ავტოკეფალია იყო ის საფუძველი, რომელზე საქართველოს ეკლესიის მთელი ისტორია დაფუძნდა, – ბრძანა ილია II-მ.

ნიუსპრესი

გიგლა აგულაშვილი: „ხის გადარგვის პროცესში მეც რიგითი დამკვირვებელი ვიყავი“

– ჩვენი სამინისტროს კომპეტენციაში ამ საკითხის გადაწყვეტა არ შედიოდა და მე ისეთივე დამკვირვებელი ვიყავი პროცესების, როგორც ნებისმიერი მოქალაქე, – ამის შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა ასწლოვანი ხის ციხისძირიდან ურეკში, დენდროლოგიურ პარკში გადარგვის საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

აგულაშვილის განმარტებით, ის უბრალოდ დაინტერესდა, თეორიულად და პრაქტიკულად რამდენად შესაძლებელი იყო მსგავსი გადაადგილება და საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა.

გიგლა აგულაშვილი:

– მე ადრეც მითქვამს და მინდა გავიმეორო, რომ ეს საკითხი არც დასაწყისში, არც მისი განხორციელების პროცესში, არ უკავშირდებოდა ჩვენი სამინისტროს კომპეტენციას. არც დაცული ტერიტორიების სააგენტოს, არც ეროვნული სატყეო სააგენტოს ან ჩვენს გამგებლობაში არსებული ნებისმიერი უწყების კომპეტენციაში არ შედიოდა ამ საკითხის გადაწყვეტა. შესაბამისად, მე ისეთივე დამკვირვებელი ვიყავი ამ პროცესების, როგორც თქვენ, როგორც ნებისმიერი მოქალაქე.

მე დავინტერესდი, შესაძლებელი იყო თუ არა ზოგადად, თეორიულად, პრაქტიკულად, მცენარის მსგავსი ტიპის გადაადგილება და შესაბამისი ინფორმაცია მივაწოდე მოსახლეობას. სხვა შეხება ამ თემასთან ჩვენ არ გვქონია.

ინტერპრესნიუსი

კურტ ვოლკერი: „რუსეთი კმაყოფილი არასოდეს იქნება“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადებას საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შეცვლასთან დაკავშირებით ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში კურტ ვოლკერი რადიოსადგურ „Radio Voice of America“-სთან ინტერვიუში ლეგალურობის დამახინჯებულად წარმოდგენად აფასებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მოსკოვი „მოთმინებით აკვირდება“ საქართველოში ანტირუსული სენტიმენტების მომატებას და „ეს მოთმინება უსაზღვრო არ არის“. ვოლკერი ამბობს, რომ ამ განცხადების დანიშნულება საქართველოზე ზეწოლის გაზრდაა:

„პირველ რიგში, ვიტყვი, რომ რუსები მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს უწყვეტად აკრიტიკებდნენ. ახლანდელმა მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება მომხდარიყო. მაგრამ, თუ ისინი საქართველოს ამაზეც საყვედურობენ, მაშინ, ვფიქრობ, კრემლი კმაყოფილი არასოდეს იქნება“.

ყოფილი ელჩი მეორე ფაქტორად იმას ასახელებს, რომ რუსეთი იმას არ აქცევს ყურადღებას, თუ რატომ შეიძლება იზრდებოდეს საქართველოში მოსკოვის მიმართ უკმაყოფილება. „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას მან ღიმილით თქვა: „შეიძლება იმიტომ, რომ ისინი საქართველოს ოკუპაციას აგრძელებენ, ან შეიძლება იმიტომ, რომ ახლახან განაცხადეს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას ჯერ არ ამტკიცებენ“.

კურტ ვოლკერს მიაჩნია, რომ რუსი პოლიტიკოსები, როგორც წესი, განცხადებებს იმისთვის აკეთებენ, რომ პროცესებზე ან ადამიანებზე გავლენა მოახდინონ და მათ მოქმედების შეცვლა აიძულონ.

– ყოველთვის შეცდომაა რუსი ოფიციალური პირებისა და დიპლომატების მოსმენა და იმის ფიქრი, რომ ისინი სიმართლის გადმოცემას ცდილობენ. ამ შემთხვევაში რუსების მიზანი საქართველოზე ზეგავლენის მოხდენაა, რომ მთავრობა აიძულონ, რუსეთთან უფრო მეტად დამთმობი იყოს. ეს საშიში მდგომარეობაა. სამწუხაროდ, რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც მეზობლებზე ასეთ ზეწოლას ახორციელებს, – აცხადებს კურტ ვოლკერი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ „აბაშიძე-კარასინის“ ფორმატში შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველომ უნდა გააუქმოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ეს კანონი, სხვა საკითხებთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკურ საქმიანობასა და უძრავი ქონების საკუთრებას ზღუდავს. კანონი ასევე ამბობს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვებს“. გრიგორი კარასინი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანების, მათ შორის ტურისტების თავისუფლად გადაადგილების დაშვებას ითხოვს.

გრიგორი კარასინის ამ მოთხოვნაზე კურტ ვოლკერი ამბობს:

– ეს ლეგალურობის დამახინჯებული წარმოდგენაა. ეს საქართველოს ტერიტორიებია, სადაც ლეგალურად შესვლა მხოლოდ საქართველოს გავლითაა შესაძლებელი. არალეგალურია ის, რომ რუსეთს ეს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ითხოვს, რომ იქ ადამიანების შესვლა რუსეთმა აკონტროლოს. ლეგალური არგუმენტისგან დამოუკიდებლად რუსეთი პრაქტიკულად აკონტროლებს ამ ტერიტორიებს და იქ ხალხის შესვლას. ამიტომ ამ განცხადების ერთადერთი რეალური მიზანი საქართველოზე ზეწოლის მოხდენაა, – აცხადებს ყოფილი ელჩი.

გრიგორი კარასინის განცხადებას საქართველოს ოფიციალური წრეების მხრიდან მყისიერი უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. პოლიტიკოსებმა მოსკოვის მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობა დაგმეს. ვოლკერი ამბობს, რომ, ოკუპაციასთან შედარებით, რუსეთის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი უმნიშვნელოა. მისი თქმით, „რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მარიონეტული მთავრობები და ათასობით ჯარისკაცი ჰყავს განლაგებული. შიდა საქმეებში ჩარევა სწორედ ეს არის!“

გრიგორი კარასინის განცხადებამ „აბაშიძე-კარასინის ფორმატის“ მიმართ პოლიტიკურ ოპოზიციაში არსებული სკეპტიციზმი გააძლიერა და დიალოგის ამ ფორმით არსებობა კიდევ ერთხელ აქცია მწვავე განხილვის თემად. ოპოზიცია აცხადებს, რომ დიალოგს რეალური შედეგის მოტანა არ შეუძლია და ის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის ერთგვარ ლეგიტიმაციას ემსახურება. გარდა ამისა, დიალოგი საქართველოს რუსეთთან მარტო ტოვებს, რაც თბილისს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ზურგის გამაგრების შესაძლებლობას ართმევს.

ხელისუფლება ოპოზიციის ამ შეხედულებას ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებით, რომ დიალოგის ქონა აუცილებელია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით. გარდა ამისა, „აბაშიძე-კარასინის ფორმატის“ მეშვეობით საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები გაუმჯობესდა და სავიზო რეჟიმის მოხსნაზე საუბარი დაიწყო. ვოლკერი ამბობს, რომ დიალოგის შენარჩუნება აუცილებელია ერთი ფაქტორის გათვალისწინებით:

– ჩემი აზრით, ეს დიალოგი გაგრძელდება და უნდა გაგრძელდეს კიდეც. კონტაქტის შენარჩუნების იდეა ყოველთვის კარგია, რადგან ამ მეთოდით სიტუაციის განმუხტვა მანამდეა შესაძლებელი, სანამ ვითარების ესკალაცია მოხდება, – ამბობს კურტ ვოლკერი. მისი თქმით, რუსეთი მიზანმიმართულად აგრძელებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოცხადების პოლიტიკას და უარს ამბობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღიარებაზე. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ურთიერთობები კიდევ დიდხანს იქნება გაყინული. „სწორედ ამიტომ დიალოგის შენარჩუნება მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ საქართველოს მხრიდან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ დიალოგის შინაარსს, – დასძენს ის.

რუსეთის ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გასაწევად საქართველოს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა შეუძლია. მათგან ერთ-ერთი პარტნიორ ქვეყნებთან აქტიური კავშირების გაგრძელება და საქართველოს თემის საერთაშორისო ფორუმებზე უწყვეტად წამოჭრაა. ვოლკერი ამბობს, რომ საქართველოს კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია.

– კრიტიკულად მნიშვნელოვანია მთავრობისა და ოპოზიციის მხრიდან ძირითად პრინციპებზე შეთანხმება და ამ თანხმობაზე საუბარი. მათ ერთმანეთის შიდაპოლიტიკა არ მოსწონთ, მაგრამ სინამდვილეში ბევრ რამეზე თანხმდებიან, მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის შექმნაზე, ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე. ეს ის მნიშვნელოვანი თემებია, რომლებზეც პოლიტიკური ძალები თანხმდებიან და ამაში ქართველი ხალხის ფართო მხარდაჭერა აქვთ. საერთო ღირებულებებზე საუბარი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოს რუსული ზეწოლისგან დასაცავად, – ამბობს კურტ ვოლკერი.

ნიუსპრესი

იან კელი: „ის, ვინც ფარულად ჩაწერებს ახორციელებს, პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენას ცდილობს“

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში იან კელის განცხადებით, ის, ვინც პირადი ცხოვრების ამსახველ უკანონო ჩაწერებს ახორციელებს, პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას ცდილობს.

ელჩი მსგავს ფაქტებს ადამიანის პირადი ცხოვრებისთვის დესტრუქციულ ქმედებად აფასებს.

მისივე თქმით, ეს საქართველოს დემოკრატიისთვის დამაზიანებელია.

– ვინც ამას აკეთებს, შედეგი კარგად გააზრებული აქვს და ცდილობს, ამით პოლიტიკურ პროცესებზე მოახდინოს გავლენა. ეს თემა ძალიან შემაშფოთებელია მთავრობისთვისაც. ჩვენ მისგან დახმარების თხოვნა მივიღეთ. არ მაქვს უფლება, დეტალებზე ვისაუბრო, თუ რას გულისხმობს ეს დახმარება. ჩვენ ამ თხოვნას დადებითად ვუპასუხეთ და საქართველოს მთავრობას დავეხმარებით. საქართველოს დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა არჩევნები სულ ახლოსაა, – განაცხადა ამერიკის ელჩმა.

შეგახსენებთ, რომ უკანონო ფარული ჩანაწერი ინტერნეტსივრცეში 11 მარტს გამოჩნდა. იგივე გამეორდა რამდენიმე დღის შემდეგაც, თუმცა ჩანაწერები სათანადო ორგანოების ჩარევის შედეგად მოკლე დროში დაიბლოკა.

აღნიშნულ საქმეზე ორი პირი, ყოფილი სპეცრაზმელები – ზურაბ ჯამალაშვილი და ირაკლი ფხალაძე დააკავეს, ხოლო პროკურატურამ 5 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

ნიუსპრესი

დიმიტრი ქუმსიშვილი: „არავის საქმე არ არის, ვის როგორ და ვისთან სძინავს“

არავის საქმე არ არის ვის როგორ სძინავს და ვისთან სძინავს, – ასე უპასუხა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა კითხვას, ეთანხმება თუ არა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის, თამაზ მეჭიაურის მოსაზრებას, რომ უნდა დატოვონ თანამდებობები იმ პირებმა, ვისაც ფარული კადრების გავრცელებით ემუქრებიან.

როგორც ქუმისშვილმა აღნიშნა, პირადი ცხოვრების ამსახველი ნებისმიერი ჩანაწერი არის ამაზრზენი.

– თამაზ მეჭიაურის განცხადება არ მომისმენია. შემიძლია უბრალოდ ჩემი დამოკიდებულება დაგიფიქსიროთ. ნებისმიერი ჩანაწერი პირადი ცხოვრების არის ამაზრზენი, ისე როგორც ამაზრზენია ამის შემდგომ ილუსტრირება. არავის საქმე არ არის ვის როგორ სძინავს და ვისთან სძინავს, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

რადოვან კარაჯიჩს 40 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

საერთაშორისო სასამართლომ ბოსნიელი სერბების ლიდერის რადოვან კარაჯიჩის საქმეზე მსჯავრი გამოიტანა.

კარაჯიჩს ბრალად ედებოდა მასობრივი მკვლელობები, მათ შორის სრებრენიცის ცნობილი ხოცვა-ჟლეტა, რომელმაც 7.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

კარაჯიჩისადმი წაყენებული საბრალდებო აქტი 11 პუნქტს მოიცავდა. აქედან კარაჯიჩს 10 დაუმტკიცდა. სასამართლომ მას 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ასადის არმია პალმირაში შევიდა

ასადის არმია უძველეს ქალაქ პალმირაში შევიდა.

ისლამურმა სახელმწიფომ პალმირაზე კონტროლი 2015 წელს დაამყარა. ქალაქის შტურმი კარგა ხანს და დიდი რუდუნებით მზადდებოდა.

ასადის არმიამ პალმირას მახლობლად ყველა სტრატეგიული სიმაღლის დაკავება შეძლო. ამის შემდეგ გადამწყვეტი შტურმიც დაიწყო. ექსტრემისტებმა ასადის მხედრობას გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ყველაფერი გადაწყვიტა რუსული თვითმფრინავების ჩარევამ, რომლებმაც ექსტრემისტების პოზიციები დაბომბეს. ამის შემდეგ ასადის არმია ქალაქში შევიდა და მისი ცენტრი დაიკავა. მიუხედავად ამისა, ექსტრემისტები წინააღმდეგობას მაინც არ წყვეტდნენ. პალმირას ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები გაიმართა.

ჯონ ქერი ვლადიმერ პუტინს შეხვდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

მოლაპარაკებები ოთხ საათს გაგრძელდა. მოგვიანებით პრესკონფერენციაზე ლავროვმა თქვა:

– მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. არსებობს წითელი ხაზი, რომლის გადაბიჯებაც არ შეიძლება. ამავე დროს, რიგი გლობალური საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა არსებობს.

ჯონ ქერიმ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ დისკუსიის ძირითადი თემა სირიასა და უკრაინას შეეხებოდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მიუთითა, რომ სირიაში მშვიდობის აღდგენისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული.

– ეს რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობის შედეგია, – თქვა ქერიმ.

ამავე დროს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კვლავ გაიმეორა, რომ ასადი უნდა წავიდეს.

– იმედი მაქვს, რუსეთი დაარწმუნებს მას ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში, – თქვა ქერიმ.

უკრაინასთან დაკავშირებით ქერიმ ხაზი გაუსვა, რომ აშშ უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს. ქერი არა მხოლოდ დონბასის, არამედ ყირიმის საკითხსაც გადასწვდა:

– ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნდეს, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

მან თქვა, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნიათ, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ საზღვარზე უკრაინული კონტროლის აღდგენის გარეშე მინსკის შეთანხმებებზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ამერიკელმა სტუმარმა ნადეჟდა სავჩენკოს შესახებაც ისაუბრა. მან თქვა, რომ ამერიკული მხარე მფრინავის გათავისუფლებას მოითხოვს.

– ამ საკითხზე უკვე ვმუშაობთ, – განაცხადა ქერიმ.

ვინ მოკლა ადვოკატი გრაბოვსკი?

დონბასში დაკავებული რუსეთის მოქალაქის ალექსანდროვის ადვოკატი გრაბოვსკი მკვდარი იპოვეს.

პროკურატურა ვარაუდობს, რომ ეს არის მკვლელობა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბრიტანელი ვეგეტარიანელი ოპოზიციონერი „მწვადის ოსკარზე“ მივიდა

ბრიტანეთის ლეიბორისტების ლიდერი, თავგამოდებული ვეგეტარიანელი ჯერემი კორბინი ბრიტიშ ქებაბ ევორდის პრემიის გადაცემის მეოთხე ცერემონიაზე მივიდა, რომელიც დიდი ბრიტანეთის საუკეთესო მემწვადეებს აჯილდოებს.

კორბინი სცენაზე გამოვიდა, რათა ნომინაციაში „მწვადის ინდუსტრიის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის“ პრემია გადაეცა გამარჯვებულისთვის.

– ყოველთვის მეტად მსიამოვნებს სამწვადეში ყოფნა, სადაც შემიძლია, შესანიშნავი ფალაფელით დავტკბე, – განაცხადა პოლიტიკოსმა.

მან ასევე მოუწოდა ქაბაბებისა და მწვადების მოყვარულებს, არ დაავიწყდეთ კერძისთვის სალათის დამატება, ვინაიდან დაბალანსებული კვება ყველასთვის მნიშვნელოვანია.

66 წლის კორბინმა ხორცის საკვებად გამოყენებაზე უარი 20 წლის ასაკში განაცხადა. მაშინ ის ღორების ფერმაში მუშაობდა და ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის თვითმხილველი გახდა. 1983 წლიდან ის ბრიტანეთის პარლამენტის წევრია, ხოლო 2015 წელს ლეიბორისტული პარტიის ლიდერად აირჩიეს.

ავსტრალიელი ტელეწამყვანები კოლეგებს დინოზავრის კოსტიუმით აშინებდნენ

ავსტრალიელმა ტელე და რადიოწამყვანებმა ჰემიშ ბლეიკმა და ენდი ლიმ კოლეგების გათამაშება გადაწყვიტეს და ამისთვის თავიანთი მეგობარი დინოზავრის კოსტიუმში გამოაწყვეს. მამაკაცები კოლეგებს ავტოსადგომზე ჩაუსაფრდნენ და თანამშრომლებს აშინებდნენ. ამის ამსახველი კადრები იუთუბიზე ბლეიკისა და ლის არხზე იქნა განთავსებული. ერთ დღე-ღამეში ვიდეორგოლმა 35 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

უძველესი ხვლიკის ფიგურა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული და რეალისტურია და ის ტელე-რადიოწამყვანებს იურული პერიოდის გამოფენის ორგანიზატორებმა გადასცეს, რომელიც მელბურნის მუზეუმში 19 მარტიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით იმართება.

მარტოხელა დედა ფულს პაემნებით შოულობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გისტრირდა, რომლის წესების თანახმად, მომხმარებელ მამაკაცს შეუძლია, ფსონი დადოს იმ გოგონაზე, რომელიც მოეწონება. თუ მითითებული ფსონი აუქციონს დახურავს, მამაკაცს შეუძლია, ქალბატონი პაემანზე მიიწვიოს და ამისთვის თავიდან შეთავაზებული თანხა გადაიხადოს.

– მე კომუნალური გადასახადები და ბავშვის ძიძის ფული მქონდა გადასახდელი. ჩვენს დროში პაემანი ხარჯებს წარმოადგენს. არ მსურს, საკუთარი დრო და ფული დავახარჯო მამაკაცს, რომელიც შემდეგ შენთვის მიუღებელი აღმოჩნდება, – განაცხადა რვა წლის ლორენსოს დედამ.

თავისი პაემნების დროს დეფაზიო მამაკაცებს ესაუბრებოდა საკუთარ ბიზნესგეგმაზე: ტაქსის სამსახურის შექმნაზე, რომლის მძღოლები მხოლოდ ლამაზი გოგონები იქნებიან. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა მისი პროექტი მისაღებად მიიჩნია და მასში ორი მილიონი დოლარი დააბანდა.

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი
50 ლარი 90-ის ნაცვლად

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჭყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

MADE IN GERMANY

ШЕИДИНЕТ Mozer-1800
– პროფესიონალი
გერმანული თმის საკრეჭი!
50 ლარად
95 ლარის ნაცვლად

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად

1.ხმის გაძლიერება 50ჯბ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი.შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● ხანგრძლივიპრაქტიკულიდაკლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

დავით კაჭარავა: „რაგბი ჩვენი თამაშია“

საქართველოს მოჰაგბეთა ეროვნული ნაკრებისა და ჯლუბ ენისეის უკანახაზეი დავით კაჭარავას ინტერვიუ ჩუსეი მედიაში გამოქვეყნდა, სადაც 2015 წლის მსოფლიოს თასზე, ქართული რაგბის დღევანდელობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე ისაუბრა.

– რით იყო 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სხვებისგან გამორჩეული?

– 2007 წელს, როდესაც პირველად ვითამაშე მსოფლიო თასზე, ახალგაზრდა ვიყავი და ენთუზიაზმით აღსავსე. მაშინ ჩემთვის ყველაფერი ახალი და საინტერესო იყო. 2011 წელს გამოცდილება მომემატა, მაგრამ ინგლისში გამართული ჩემპიონატი საუკეთესო იყო. დიდ ბრიტანეთში გაცილებით მეტი საინტერესო გამოდგა თამაში, ვიდრე – ახალ ზელანდიაში. ბრიტანეთში ხალხი რაგბიზე გიჟდება – ქუჩაში გვცნობდნენ, გვკითხულობდნენ, ფოტოებს იღებდნენ ჩვენთან. სასიამოვნო ატმოსფერო იყო. ეს ყველაფერი დადებითად მოქმედებს და შენც იმ ზეიმის დიდი მონაწილე ხდები.

– გულშემატკივარს რომელ ენაზე ესაუბრებოდით?

– ფრანგული კარგად ვიცი, რადგან იქ 5 წელი ვიცხოვრე, თუმცა თითქმის ყველა ქართველი საუბრობს ინგლისურად.

– ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი რომელი იყო?

– ტონგასთან, რომელიც 17:10 მოვიგეთ. ამ შეხვედრაში 250 ბოჭვა შევასრულეთ, რაც ერთ მატჩში მსოფლიო ჩემპიონატზე სარეკორდო მაჩვენებელია. მეტოქე ძალიან მძიმედ გვიტევდა, მაგრამ მოვახერხეთ, ჩვენი ჩათვლის მოედანი შეგვენარჩუნებინა. ნამატჩევს ისე ვხარობდით, თითქოს ფინალი მოგვეგო. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოგება იყო, შემდეგ ნამიბიაც დავამარცხეთ და 2019 წელს მსოფლიო თასზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ.

– ყველაზე მძიმე რომელი შეხვედრა გამოდგა?

– პირადად ჩემთვის – არგენტინასთან. ორივე გუნდი მოგებაზე თამაშობდა. არგენტინელებს ესმოდათ ეს. ამიტომ ძალიან დიდი მონდომებით გამოვიდნენ მოედანზე. მართალია, უკვე სამ მსოფლიო ჩემპიონატზე დაგვამარცხეს, მაგრამ მარტივად არასდროს გამოსვლიათ ეს.

– ალბათ, ტონგასთან მატჩის შემდეგ ძალები არ გეყოთ.

– არა, უბრალოდ, მათ დასამარცხებლად კლასი არ გვყოფნის.

– თქვენი თანაგუნდელი უილდის საულიტე ამბობს, რომ არასდროს არის კმაყოფილი თავისი თამაშით. თქვენ როგორ ხართ ამ კუთხით?

– მატჩის შემდეგ ყოველთვის გეუფლება გრძნობა, რომ შეგეძლო გეთამაშა უკეთესად, ვიდრე ფიქრობ. ეს კი მომავალში უნდა გამოასწორო. ვფიქრობ, სსაულიტეს სიტყვები ძალიან კარგია – ყოველთვის უნდა ისწრაფოდე იმისკენ, რომ უკეთესად ითამაშო. როგორც კი მიხვდები, რომ მაღალ დონეზე ხარ, წამსვე დაიწყებ დეგრადირებას.

– ინგლისის ნაკრებთან შეუცვლელად ითამაშეთ.

– ბოლო 2 მსოფლიო თასზე ყველა მატჩი შეუცვლელად ვითამაშე.

– ეს რთული არ არის?

– რა თქმა უნდა, თუმცა ეს კოლოსალურ გამოცდილებას მაძლევს და, როგორც მოთამაშე, ვიზრდები. მინდოდა კიდეც, რომ ბოლომდე მეთამაშა.

– საიდან ამდენი ძალა და ენერგია?

– მსოფლიო თასისთვის სერიოზულად ვემზადებოდით. 3 თვე ფიზიკურ მომზადებას გავდიოდით. ყველა მორაგბე მზად იყო, ასეთი დატვირთვისთვის გაეძლო.

– თქვენი აზრით, რამ განაპირობა ქართული რაგბის პროგრესი?

– როდესაც 9-10 წლის ასაკში რაგბის თამაშს ვიწყებდი, მაშინ ბევრმა ისიც კი არ იცოდა, რა სპორტი იყო. რაგბიში ის ერკვეოდა, ვინც უშუალოდ დაკავებული იყო ოვალური ბურთით. გავიდა დრო, საქართველოს ნაკრებმა მოგებები დაიწყო, 2003 წელს კი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა. არ იყო იოლი დრო, მაგრამ ხალხმა იცოდა, რომ რაგბის მატჩზე დასწრების შემდეგ სტადიონიდან შინ დადებითი ემოციით დამუხტული წავიდოდა. თანდათან, უფრო მეტმა შეიყვარა რაგბი. ახლა უკვე სტადიონები და ბაზებიც შენდება და ძალიან ბევრი ბავშვი თამაშობს რაგბის. შეიძლება ითქვას, რომ რაგბი საქართველოში უპირველესი სპორტია.

– მართლა? ფეხბურთი არა?! საბჭოთა კავშირის პერიოდში კრასნოიარსკის ბიჭების კერპები იყვნენ დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი...

– იმ პერიოდში თბილისის დინამოს სახით ნამდვილად ძლიერი და ისტორიული გუნდი გვყავდა. 1981 წელს თასების მფლობელთა თასიც კი მოიგეს, მაგრამ დღეს ქართულ ფეხბურთში კრიზისია. როგორც კი საფეხბურთო გუნდი წარმატებით ათამაშდება, სპორტის ამ სახეობის პოპულარობაც გაიზრდება, მაგრამ ახლა ფეხბურთზე პოპულარული რაგბია.

– მსოფლიო თასის შემდეგ ენისეის შემადგენლობაში ევროთასებზე მოგიხდათ გადართვა. დასვენება მოასწარით?

– ორი კვირით საქართველოში.

– ეს დრო გეყოთ?

– თითქმის. უფრო ემოციური დაღლილობა მქონდა, ვიდრე – ფიზიკური. ფსიქოლოგიური დაღლილობა გაცილებით რთულია. რა თქმა უნდა, ჯობდა, მეტი დამესვენა, მაგრამ თუ პროფესიონალი სპორტსმენი ხარ, მზად უნდა იყო ნებისმიერი გამოწვევისთვის.

– გვითხარით, სად გაატარეთ ბავშვობა და სკოლაში როგორ სწავლობდით.

– თბილისში. სკოლაშიც კარგი მოსწავლე ვიყავი, გაცდენები არ მიყვარდა.

– საყვარელი საგანი რომელი იყო?

– ისტორია და ქართული ენა. ტექნიკური საგნები მაინცდამაინც არ მიყვარდა, მაგრამ ცუდი მოსწავლეც არ ვყოფილვარ.

– რაგბიმ რატომ გაგიტაცათ?

– ახლა რთულია, ეს ყველაფერი ვთქვა, რაც ბავშვობაში მქონდა. მომწონდა ბრძოლა მოედანზე, როდესაც გუნდს სჭირდები და გუნდსაც სჭირდები.

– ეს ქართული „ცხელი“ სისხლის ბრალია?

– ნამდვილად. საქართველოში არსებობს გამოთქმა – რაგბი ჩვენი თამაშია!

– ერთი შეხედვით, წყნარი ადამიანი ჩანხართ, თუ თავს იკავებთ?

– საქართველოს ნაკრების ყველა ვარსკვლავი, საფრანგეთში მოთამაშეებიც კი, მშვიდი ადამიანები არიან.

– ყოფილხართ როდესმე აგრესიული?

– არასდროს.

– ჩხუბი არც ადრე გიყვარდათ?

– ბავშვობაში ყველაფერი ხდება.

– გახსოვთ, როგორ გადახვედით იუნიორებიდან პროფესიულ რაგბიში? მღელვარება არ გქონიათ?

– 18 წლის ასაკში, როდესაც ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატიდან დავბრუნდით, საქართველოს უმაღლეს ლიგაში დავიწყე თამაში. არანაირი მღელვარება არ მქონია – პირველივე წელს გუნდში მოვხვდი.

– 2008 წელს პირველად ჩამოხვედით კრასნოიარსკში. სხვა კულტურა, სხვა ბუნება... როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება?

– გამიჩნდა შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირში განვიცადე ტელერეპორტაცია.

– იმ პერიოდში საქართველოს ნაკრებმა რუსეთს კრასნოიარსკში მოუგო და ორი ლელო თქვენ და რატი ურუშაძემ დადეთ – ორივე კრასნოიარსკის გუნდის წარმომადგენლებმა.

– ასე მოხდა. შემდეგ გუნდში ხშირად ვხუმრობდით ამ თემაზე.

– კრასნოიარსკიდან გარკვეული პერიოდი საფრანგეთში გადახვედით.

– ახალგაზრდა ვიყავი და გადავწყვიტე, უფრო მაღალ დონეზე მეცადა ბედი. იქ რუსეთზე მაღალი დონეა, ამასთან, სახლთანაც ახლოს ვარ.

– საქართველოში სამოყვარულო ჩემპიონატია?

– არა – პროფესიონალური. უმაღლეს ლიგაში 10 გუნდი თამაშობს და 8 მათგანი თითქმის ერთი დონის არის. ჩვენთან წინასწარ არავინ იცის, ვინ გავა ფინალში, რუსეთში კი ცნობილია, რომ ენისეი და კრასნი იარი ითამაშებენ.

– გახსოვთ, როგორ მოხვდით საქართველოს ნაკრებში?

– დიახ. 2004 წელი იყო. ჩვენთან სუპერრაგბის გუნდი ხარები სტუმრობდნენ და იმ მატჩისთვის გამომიძახეს. თითქმის მთელი ტაიმი ვითამაშე. მართალია, 20 ქულით წავაგეთ, მაგრამ მაშინ უფრო მეტი ინტერესი გამიჩნდა, რაგბი მაღალ დონეზე მეთამაშა.

– ქართული რაგბის ყველაზე დიდ წარმატებად რას მიიჩნევთ?

– 2015 წლის მსოფლიო თასს. მომავალ ტურნირზე კვალიფიკაციის გარეშე მოვხვდით. ეს არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ნაკრების წარმატებაა.

– ითამაშებთ შემდეგ მსოფლიო თასს?

– 34 წლის ვიქნები. ძალიან მინდა, თუ ჯანმრთელობა ამის საშუალებას მომცემს.

– რაგბის გარდა, თქვენს ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო რა არის?

– ოჯახი: მეუღლე და 6 წლის ბიჭი – ეს მთელი ჩემი ცხოვრებაა.

– რამდენად რთულია პროფესიონალი სპორტსმენისთვის ოჯახის შექმნა?

– შექმნა არ არის რთული, მას შენარჩუნება სჭირდება. ხდება, როდესაც ნახევარი წელი სახლში არ ვარ. რა თქმა უნდა, რთულია ოჯახის გარეთ ყოფნა, მაგრამ სპორტი მუდმივი არ არის.

– კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობთ?

– ჯერ არა, თუმცა 4 წლით წინ ხედვაც უაზრობაა. საჭიროა, რამით დავკავდე, განათლება მივიღო. გარკვეული პლუსები მაქვს – რამდენიმე ენაზე ვსაუბრობ. საქართველოშიც რაგბი ვითარდება და, არ არის გამორიცხული, მომავალში ამ სფეროში სხვა სტატუსით დავკავდე.

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

გარეთ ბეილს მეორე შვილი შეეძინა

მადრიდის რეალის უელსელი ფორვარდის გარეთ ბეილის ცხოვრებაში სასიხარულო სიახლეა. ბეილსა და მის მეუღლეს ემა ჯონსს მეორე შვილი შეეძინათ. ფეხბურთელმა ეს რამდენიმე დღის წინ დაადასტურა და თქვა, რომ გოგონას ვალენტინა დაარქვეს.

ბეილი ეს დღეები თავის ცოლთან ერთად იმყოფებოდა, რის გამოც თავისი ნაკრების ამხანაგური შეხვედრაც გამოტოვა.

გარეთსა და მის მეუღლეს უკვე ჰყავთ ერთი გოგონა, რომელიც ქვეყანას 2014 წელს მოევლინა. ბეილის თქმით, შვილები მას უფრო მეტ სტიმულსა და მოტივაციას აძლევენ იმისთვის, რომ მოედანზე გამოვიდეს და წარმატებებს მიაღწიოს.

ბეილი გატანილ გოლებსაც, ხშირ შემთხვევაში, თავის ოჯახს უძღვნის.

ბ. გ.

ოზილით ბარსელონა დაინტერესდა

არსენალის გერმანელი ნახევარმცველი მესუტ ოზილი შესაძლოა ესპანეთში დაბრუნდეს. ოზილი არ ჩქარობს არსენალთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას და ინგლისში ამის მიზეზად ოზილის მიმართ ბარსელონის ინტერესს ასახელებენ.

თუ ინგლისურ პრესას დავუჯერებთ, ბარსელონას დიდი სურვილი აქვს, გერმანელი ნახევარმცველი გადაიბიროს და ამისთვის სოლიდური თანხის გადახდასაც არ მოერიდება.

გარდა ამისა, კატალონიური გუნდი მზად არის, არსენალს თავისი რამდენიმე ფეხბურთელიც მისცეს, მაგალითად, მუნირ ელ ჰადადი და არდა ტურანი.

შეგახსენებთ, რომ მესუტ ოზილი წლების განმავლობაში ბარსელონის მთავარი მეტოქის, მადრიდის რეალის ფეხბურთელი იყო. სამეფო გუნდი მან 2013 წელს დატოვა.

ბ. გ.

ბენტეკე მადრიდის ატლეტიკოსაც მოუნდა

კრისტიან ბენტეკემ არცთუ დიდი ხნის წინ განაცხადა, რომ მას არ აკმაყოფილებს თავისი მდგომარეობა ლივერპულში და, არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს ეს გუნდი დატოვოს. ამ განცხადების შემდეგ ბენტეკეს მიმართ ინტერესი გაიზარდა და მისი ყიდვის სურვილი უკვე რამდენიმე კლუბმა გამოთქვა. მათ შორის არის მადრიდის ატლეტიკოც, რომელიც ზაფხულში რამდენიმე ფორვარდის ყიდვას გეგმავს. ატლეტიკოს გარდა, ლივერპულის ფორვარდის მიმართ ინტერესს ვესტ ჰემიც იჩენს და ლონდონური გუნდი მზად არის, ბენტეკეში 25 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს.

ბ. გ.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კლეპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

